1929

№ 4. წელიწადი პირველი.

ფასი ყველგან 15 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა




მარქსის სახ. საჯარო ბიბლიოთეკა
ტფილისი

**1921—1929**



**პრიმო დე-რივერა** ესპანეთის დიქტატორი, რომელსაც მოსვენებას არ აძლევს მუსოლინის „სახელი“, სისხლში აღრჩობს ყოველგვარ მოძრაობას, რომელიც ფაშისტური რეჟიმის წინაალმდეგ არის მიმართული.



ამერიკელი სენატორი, **ტაიდინგს**, ავტორი კანონ-პროექტის, რომელიც უკრძალავს ამერიკელ ბანკირებს სესხის მიცემას ისეთი სახელმწიფოსათვის, რომლის სამხედრო შეიარაღება აღემატება შეერთებული შტატებისას.



9 თებერვალს მოსკოვში ხელი მოაწერეს ლიტვინოვის ოქმს კელოგის პაქტის ვადამდე ძალაში შესვლის შესახებ. სურათზე რუმინეთის წარმომადგენელი **დევილა** ხელს აწერს ოქმს.



**სანჩეს გერრა** ესპანეთ. ყოფ. პრემიერი, რომელიც პრიმო დე-რივერას ბრძანებით დააპატიმრეს ესპანეთში უკანასკნელ დროს ფაშისტური რეჟიმის წინაალმდეგ მომხდარ გამოსვლებთან დაკავშირებით.



11000 კილომეტრის მანძილზე პარიზიდან ელაპარაკებიან არგენტინაში ტელეფონით. სურათზე — ტელეფონით ლაპარაკი.



ამჟამად პარიზში მიმდინარეობს ექსპერტთა კონფერენცია გერმანიის სარეპარაციო გადასახადთა განსასაზღვრავად. სურათზე ექსპერტთა კონფერენციის მონაწილენი: **პიერპონტ მორგანი, პერკინსი** (ზევითა რიგი), **ლამონტი და ოუენ იუნგი** (ქვევითა რიგი).



პროფ. **ე. ვ. ბრიცკე** გამოჩენილი სპეციალისტი გამოყენებითი და არაორგანიული ქიმიის დარგში, რომელსაც სამეცხიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის 25 წელი შეუსრულდა. საკავშირო ცაკის წინაშე აღძრულია შუამდგომლობა პროფ. ბრიცკეს დაჯილდოების შესახებ შრომის ორდენით.



**დე-ვალერა** ირლანდიელ რესპუბლიკანელების ბელადი, რომელიც ახლახან დააპატიმრეს ირლანდიაში.



**პორტეს ხილი** მექსიკის ახალი პრეზიდენტი, რომელიც სასტიკ ბრძოლას აწარმოებს კათოლიკურ სამღვდელოებასთან.



**ელიზაბეტ სიმონ** —ჰუნგრელი ქალი „ყველაზე უფრო ლამაზი ევროპაში“. არჩეული იყო სრულიად ევროპის კონგრესზე.



ცნობილი ინგლისელი სპორტსმენი **მალკოლმ კემპბელი** ემზადება ავტომობილის სისწრაფის ახალი რეკორდის დასამყარებლად. ეს რეკორდი ამჟამად ეკუთვნის ამერიკელ რეიკიჩს, რომელმაც დაიტონში (ფლორიდა) შესძლო 300 კილომეტრის გავლა საათში. კემპბელი რეკორდის დამყარებას შეეცდება სამხრეთ აფრიკაში, რამდენიმე ათეული მილის მანძილზე კეპტოუნიდან, სადაც თიხის ნიადაგს სიცხის ზეგავლენით ბეტონის სიმაგრე აქვს მოპოვებული.



**პოლ გრაპ,** რომელიც ათი წლის განმავლობაში იმალებოდა პარიზში ქალის ტანისამოსში გადაცმული. მან უარი სთქვა სამხედრო სამსახურზე. ბრალს სდებდნენ დეზერტირობაში.



**გომბოჟანი** მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ახალი ელჩი მოსკოვში.



მადმუაზელ **გავარ**, 19 წლის, რომელიც გამოცხადებულია პარიზის ყველაზე უფრო ლამაზ ქალად.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა


# დროშა

№ 4. 1929 წ. 1 მარტი.


# „დამოუკიდებლობა" მენშევიკურად

კვესი.

„მე გახლავართ მთავრობის თავმჯდომარე და ერთხელ კიდევ ვიმეორებ თქვენს წინაშე, რომ მთელი ჩემი მოღვაწეობა როგორც სახელმწიფოებრივი, ისე პუბლიცისტური, მიმართული იყო ინგლისისა და საფრანგეთის სასარგებლოდ. ვიმეორებ, რომ ჩემი სიმპატიები ამ ქვეყნებისადმი არ შეცვლილა არც ომის დროს და არც ეხლა.

რაც შეეხება საგარეო საქმეთა მინისტრს, ჩვენი უცხოეთთან ურთიერთობის პოლიტიკის ხელმძღვანელს, მისი მოღვაწეობა და შეხედულებანი არასოდეს არავის არ დაუფარავს და ყველამ კარგად იცის. ის უაღრესად ერთგული მომხრეა მოკავშირეებისა. ასე რომ ამ საკითხში არავითარი ეჭვის შეტანა არ შეიძლება".

ამას ამბობს „დამოუკიდებელ დემოკრატიულ" საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელი, მენშევიკური პარტიის ლიდერული ბელადი—ჟორდანია. ეს არის ამონაწერი მთავრობის თავმჯდომარისა და ინგლისელ გენერალ უოკკერის შორის წარმოებული ოფიციალური საუბრის ოქმიდან.

თავისთავად მენშევიკისათვის ამაში სათაკილო არაფერია. „მენშევიკი ბურჟუაზიის ლაქია"! ეს მარტო საგიტაციო ფრაზა როდია. ეს არის ხალასი სინამდვილის დამახასიათებელი მოხდენილი გამოთქმა. სოციალ - დემოკრატი არ არის სოციალ - დემოკრატი, თუ ის თავის თავს ვისმე (გარდა პროლეტარიატისა და ღარიბი გლეხობის) ერთგულად და მსახურად არ გრძნობს.

ამის შესახებ მჭერმეტყველურად მოწმობენ ის ფაქტები, რომელნიც უმთავრესად მენშევიკების უდღეური მთავრობის საიდუმლო მოღვაწეობას შეეხება. აი, მაგალითად, მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის და საგარეო საქმეთა მინისტრის ე. გეგეჭკორის საუბარი ინგლისის საგანგებო კომისართან ამიერ - კავკასიაში სერ უორდროპთან.

„ჩვენ კარგად გვესმის,—მოახსენებს გეგეჭკორი უორდროპს,—რომ თუ საქართველოს არ ეყოლა ძლიერი მოკავშირე, ის ვერ მოიპოვებს თავის დამოუკიდებლობას... საქართველოს მთავრობა გრძნობს, რომ ის უნდა ეყრდნობოდეს რაიმე მტკიცე სახელმწიფოებრივ ორგანიზმზე. ეს გრძნობა გვიკარნახებს ჩვენ გარკვეულ ორიენტაციას ინგლისისაკენ. რასაკვირველია, ჩვენ ვიცით, რომ ასეთი დახმარება ინგლისის მხრივ უნდა ანაზღაურებულ იქნას ჩვენს მიერ ამა თუ იმ სახით. სამწუხაროდ, აქამდე ვერ შევსძელით პასუხის მიღება ჩვენთვის ამ ასეთ საჭირბოროტო საკითხზე.

მე მოკლედ გამოვსთქვამ ჩემს აზრს: შექმნილ პირობებში საქართველო მარტო სხვისი დახმარების გარეშე ვერ შესძლებს არსებულ დაბრკოლებათა გადალახვას; ის სთხოვს შველას ინგლისს და უნდა იცოდეს, რა სურს ინგლისს ამ დახმარების სანაცვლოდ.

ჩემ მიერ გამოთქმული დებულება არის მთავრობის თათბირის შედეგი, და უნდა ვთქვა, რომ ჩვენს შორის ამ საკითხის გარშემო არავითარ აზრთა სხვადასხვაობას ადგილი არ ჰქონია".

ასეთია „დამოუკიდებელ" საქართველოს მთავრობის ენა ინგლისის წარმომადგენლებთან საუბარში. მუხლმოდრეკით, მუცელზე ხოხვით ევედრებიან მენშევიკები ინგლისს, ოღონდ სთქვით, ოღონდ გაგვაგონეთ თქვენი გულის ზრახვანი და მზად ვართ თავდადებულ სამსახურისათვის.

ინგლისის გენერლები მენშევიკური მთავრობას მიმართ დიდ ცერემონიას არ დაგიდევდნენ. მართალია, მთელი „კაბინეტი" მათ სიყვარულს და ერთგულებას ეფიცებოდა, მაგრამ მათ არაფრად ეპიტნავებოდათ გამოხტენა მინისტრებას თავმომაბეზრებელი ლაქუცობა.

ყოფილა შემთხვევები, როცა მენშევიკური მთავრობის წევრები კუდამოძუებული გამოუსტუმრებია დიდი ბრიტანეთის გენერლებს, აქ—საქართველოს ტერიტორიაზე, ინგლისელ ოფიცრებს სალაპარაკოდაც არ მიუღიათ „დამოუკიდებელ" სახელმწიფოს—საქართველოს მთავრობის წევრები. ამით გულდამწვარი მთავრობის თავმჯდომარე — ჟორდანია, შესჩივის გენერალ კორის:

„**ჟორდანია** — ამ დღეებში აქ იყო გენერალ მილნი, და მან არ მიიღო ჩვენი წარმომადგენლები. ჩვენ არა ვართ ჩვეული ასეთ მოპყრობას.

**გენ. კორი**—მე არაფერი გამიგია ამის შესახებ. ეს, ალბად (!). სამწუხარო გაუგებრობაა.

**ჟორდანია**—სამწუხეროდ ეს ასეა. მე, პირადად 25 წლის განმავლობაში, და ეხლანდელი მთავრობის ბევრი წევრებიც პროპაგანდას ვეწეოდით ინგლისის სასარგებლოდ, მაგრამ ეხლა უნდა ვთქვა, რომ ამგვარი მოპყრობა ინგლისის ხელისუფლების ორგანოების მხრივ, გულს გვიტეხავს ჩვენ.

**გენერალი კორი**—მე კარგა ხანია ვიცი, რომ მთავრობის თავმჯდომარე დიდი მომხრეა ინგლისის. გენერალი მილნი, როცა ის მეორეთ ჩამოვა, იჭვი არ არის, ინახულებს ბატონ პრეზიდენტს"...

და ამ ხალხს თავიანთი თავი „დამოუკიდებელ" საქართველოს მინისტრებად მოქონდათ.

არანაკლებ საგულისხმოა ინგლისის გენერლების გარუკითხავ პარპაშობის დასახასიათებლად შემდეგი ფაქტი. იყო შემთხვევები, როცა მენშევიკური პრესა იმ მიზნით, რომ რამდენიმედ მაინც დაეწყნარებია ინგლისის პოლიტიკით სამართლიანად აღშფოთებული მშრომელი მოსახლეობა და ამავე დროს თითქოს ერთგვარი გავლენაც მოეხდინა უცხოეთის გენერლებზე, მოკრძალებით აკრიტიკებდა ანტანტის პოლიტიკას. როგორ უპასუხებდენ ამაზე ინგლისის გენერლები. სჯობს აქაც დოკუმენტი ავალაპარაკოთ.

„გაზეთი „ბორბა"—ეუბნება უოკკერი ჟორდანიას,—უკანასკნელ ხანებში თავის ფურცლებზე ადგილს უთმობს წერილებს მოკავშირეებისა და, კერძოდ, ინგლისის შესახებ. ამ წერილების მოთავსება მე აბსოლიუტურად დაუშვებლად მიმაჩნია. მე უნდა გავაფრთხილო საქართველოს მთავრობა, რომ თუ ის არ უბრძანებს ამ გაზეთს შესწყვიტოს ასეთი კამპანია, თუ ამგვარივე წერილები კვლავ დაიბეჭდება აღნიშნულ გაზეთში და საქართველოს მთავრობა ასეთ შემთხვევაში არ დაკეტავს „ბორბა"-ს, მე პირადად იძულებული ვიქნები შევსწყვიტო ემ გაზეთის არსებობა. და ეს იმიტომ, რომ აღნიშნულ გაზეთში მოთავსებულ წერილებს ვცნობ მოკავშირე სახელმწიფოების შეურაცყოფად".

ასეთია ინგლისელი გენერალის ენა მთავრობის თავმჯდომარესთან ოფიციალურ საუბარში,—ან შენ უბრძანე და დახურე გაზეთი, თუ არა და მე ჩემი განკარგულებით მაინც დავხურავ მას.

მაგრამ ჟორდანიას მთავრობას არც ეს სჭირდება. ის იმდენად გატაცებული იყო მონური ერთგულებით, რომ ანტანტის გენერლებზე მეტ სიყვარულს იჩენდნენ ანტანტისადმი. სასაცილოა ეს ამბავი, მაგრამ ფაქტია. ერთ-ერთ თავის საუბარში ჟორდანია მოახსენებს გენერალ უოკკერს იმ ცნობების შესახებ, რომელიც იმ ხანებში მოდიოდა მოსკოვის რადიო - სადგურიდან. ეს ცნობები შეეხებოდა მუშათა რევოლიუციონურ მოძრაობის ზრდას ინგლისსა და საფრანგეთში.

„საქართველოს მთავრობას სურს,—ამბობს ჟორდანია,—დაიცავს საქართველოს მოსახლეობაში ამ სახელმწიფოების (ინგლისი და საფრანგეთი) პრესტიჟი სათანადო სიმაღლეზე. ამ მიზნით საქართველოს მთავრობა აკავებს ზოგიერთ რადიოგრამებს, რომელნიც აჩასიათებენ ამ ქვეყნების მდგომარეობას". ჟორდანია აქვე ასახელებს მოსკოვიდან გადმოცემულ რამდენიმე ცნობას ინგლისში და ირლანდიაში მომხდარი რევოლიუციონური გამოსვლების შესახებ და საფრანგეთის ფლოტის დამბობილების შესახებ ოდესის მუშებთან. უოკკერი მთავრობის თავმჯდომარის ამგვარ წრეგადასულ ერთგულებას ისეთი ღლტაცებით არ შეხვდა, როგორც ამას ჟორდანია მოელოდა. ინგლისელ გენერალმა ამ შემთხვევაში მეტი ობიექტივობა გამოიჩინა, ვიდრე მენშევიკ ჟორდანიამ. მან სთქვა: „ამ ცნობებში ბევრი სიმართლეა, მაგრამ ბევრია მოჭორილიც". თუ საქართველოს მთავრობას უმჯობესად მიაჩნია, რომ ეს ცნობები არ იბეჭდებოდეს, გენერალს ამის წინააღმდეგ არაფერი ექნება და სრულიად თანახმაა.

**ჟორდანია**—სამწუხაროდ ასეთი ცნობები მოდიოდენ მოსახლეობაზე. ხალხს შეუძლია იფიქროს, რომ ინგლისში შექმნილ პირობების გამო „ბრიტანეთის ჯარები წავა. ეს კი იქნება ბოლშევიკური მოსკოვის ცნობების შედეგი".

იქნებ ვინმემ იფიქროს, რომ ანტანტის ჯარები მოდიოდნენ საქართველოში მენშევიკური მთავრობასთან შეთანხმებით, რომ ისინი ამ შემთხვევაში ანგარიშს უწევდნენ ადგილობრივ ხელისუფლების სურვილს და საზოგადოებრივ აზრს. სრულიადაც არა. ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია ჟორდანიას საუბარი გენ. კორისთან.

„**ჟორდანია** — მითხარით, რით აიხსნება იტალიელების მოსვლა საქართველოში?

**გენ. კორი** — გენ. ტომსონის წერილის თანახმად, ისინი მოდიან აქ ჩვენი ჯარების შესაცვლელად.

**ჟორდ.** — დიდი ხნით?

**გენ. კორი** — რამდენადაც მე ვიცი, ყველაფერი გადაეცემა იტალიელებს, ხოლო რა მოხდება შემდეგ, ამის შესახებ მე არაფერი ვიცი.

**ჟორდ.** — იტალიელები დამოუკიდებელი იქნებიან, თუ იმოქმედებენ აქ ინგლისის დირექტივების თანახმად?

**გენ. კორი** — ისინი იმოქმედებენ ანტანტის სახელით ისე, როგორც ინგლისელები.

**ჟორდ.** — ჯარების ასეთი ხშირი შეცვლა ჩვენი სურვილისა და თანხმობის გარეშე მეტად არასასიამოვნოა. ჩვენ უკვე გავეცანით ინგლისელებს. მათ დაგვარწმუნეს როგორც აქ, ისე ლონდონიდან მიღებულ ცნობით, რომ კარგი სურთ ჩვენთვის, და ეხლა მოულოდნელად მოდიან იტალიელები. ჩვენ არ ვიცით მათი განზრახვები".

მენშევიკურ მთავრობას არავინ ეკითხებოდა მის აზრს. ლაქია იმიტომ არის ლაქია, რომ იქ, სადაც არის ბატონის ნება-სურვილი, მას არა აქვს უფლება საკუთარი აზრი იქონიოს. ამას ჰქვია მენშევიკების სიტყვით „დამოუკიდებელი" საქართველო, ასეთი „დამოუკიდებლობის" აღსადგენად იბრძვის საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მთელი ქართული კონტრ - რევოლიუციონური ხროვა იმავე ჟორდანიას მეთაურობით.

მენშევიკური მუხლმოდრეკილი „დამოუკიდებლობა", დემოკრატიული საქართველოს „სიმშვენიერე" მწარე წარსულს ჩაბარდა. ის იყო და აღარ განმეორდება. ეს მტკიცედ სწამს საქართველოს მშრომელ ხალხს. ამის თავდებია ოქტომბრის რევოლიუციის პირმშო შვილის — საბჭოთა საქართველოს რვა წლის არსებობა.

კვესი.

# საბჭოთა საქართველო



















1) აქ არის მოთავსებული საქ. კომპარტიის შტაბი—ცენტრალური კომიტეტი, 2) ლენინის ძეგლი ზაჰესში, 3) მაშველის არხი—საგუბარი, 4) რიონჰესის სამუშაოები, 5) ზაჰესი, 6) აბაშის ჰიდრო-ელსადგურის შენობა, 7) ახალქალაქის ჰიდრო-ელსადგური, 8) ხილის სახმობი ახალციხეში, 9) მთავრობის სასახლე.

# 8 წლის თავზე



1) ნაოსნობა რიონზე, გემი „შალვა ელიავა“, 2) ფოთის ჭაობების ამოშრობა, 3) შრომის სასახლე (თბილისში), სადაც მოთავსებულია საქ. პროფკავშირთა საბჭო და ყველა პროფკავშირების ცენტრ. გამგეობები, 4 ჭიათურის შავი ქვის სამრეწველო რაიონი, 5) ფოთის ნავთსადგურის გაღრმავება, მიწის სათხრელი მანქანა, 6) სარწყავი არხი დუშეთის მაზრაში, 7) ახალი ფაბრიკა ქუთაისში, 8) ნატახტარის წყაროები, საიდანაც გაყვანილი იქნება ახალი წყალსადენი თბილისათვის, 9) ოზურგეთის აბრეშუმის ძაფ-სახვევი ფაბრიკა—სახვევი განყოფილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორ იქმნებოდა წითელი არმია

ვლ. ბონჩ-ბრუევიჩი

1917 წლის 19 ნოემბერს, ძველი სტილით მოგილიოვში ჩავიდა სახალხო კომისართა საბჭოს მიერ მთავარსარდლათ ახლად დანიშნული კრილენკო.

ამ დროისათვის მთავარმა შტაბმა უკვე დაჰკარგა ყოველგვარი ხელმძღვანელი როლი მომქმედ არმიაში.

თვით არმია უკვე არ წარმოადგენდა მებრძოლ ძალას, საშიშს მოწინააღმდეგესათვის: ის იყო შეიარაღებული მასა, რომელმაც ხელში ჩაიგდო თავისი თავის მმართველობა და ამგვარი ხელმძღვანელობით ანხორციელებდა თავის შეუჩერებელ ლტოლვას: რაც შეიძლება ჩქარა დაბრუნებულიყო სახლში, რაც არ უნდა მოჰყოლოდა ამას. ფრონტის მიტოვების და მატერიალური ნაწილის არევ-დარევის არავითარ შედეგებს, რაც საზიანო იყო სახელმწიფოსათვის, ეს მასა არ სცნობდა და ამიტომ ამისი არ ეშინოდა. ოღონდ კი ჩქარა სახლში, ახლო მშობლიურ ველებთან!

რუმინეთის ფრონტის სარდალმა გენ. შჩერბაჩოვმა შესწყვიტა ყოველგვარი კავშირი ბანაკთან, თითქოს გამოეყო მას; სამხრეთ-დასავლეთის ფრონტი „გაუკრაინელდა" და ვითარდებოდა უკრაინული „სამოსტიინობის" ნიშან ქვეშ. დასავლეთის ფრონტი გაძლიერებით იშლებოდა და ღელავდა შინაგანი გარდაქმნის გამო; ჩრდილოეთის ფრონტი თუმცა განიცდიდა სხვადასხვა ცვლილებებს, მაგრამ მასში ყველაფერი ეს ხდებოდა მწყობრად, საერთო საქმისათვის ნაკლებ საზიანოთ.

1917 წ. 19 ნოემბერს მე შეუდექი თითქმის არ არსებული რუსეთის მომქმედი არმიის შტაბის უფროსის თანამდებობის შესრულებას; ჩემს თანამშრომლებათ დარჩნენ, უმთავრესად, მთავარი შტაბის წინანდელი მუშაკები.

როცა საქმის ვითარებას ახლო გავეცანი, იმ დასკვნამდე მივედი, რომ მეფის არმია, როგორც მებრძოლი ძალა, აღარ არსებობს და ამიტომ საჭიროა ამ არმიის რაც შეიძლება დაჩქარებით ლიკვიდაცია, რომ მისგან დარჩენილი მატერიალური ბაზის საფუძველზე შეიქმნას ახალი არმია—ძლიერი, დისციპლინით გამსჭვალული. ამის შესახებ მე ვრცელი დეპეშით ვაცნობე ვლადიმირ ილიჩ ლენინს.

გადაწყდა სამ თვეში ე. ი. 1918 წ. 20 თებერვლისათვის დაგვესრულებია ძველი არმიისა და მთავარი შტაბის ლიკვიდაცია. გაჩაღდა სალიკვიდაციო მუშაობა ჩემი საერთო ხელმძღვანელობით; ამ მუშაობის ერთი მთავარი ამოცანათაგანი იყო—მატერიალური ნაწილის გადარჩენა. ჩრდილოეთის და დასავლეთის ფრონტებზე ეს ამოცანა მეტწილად განხორციელებული იქნა. სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე საქმე უფრო ცუდათ იყო; რუმინეთის ფრონტმა, რომელიც გამოეყო მთავარ შტაბს და ძალიან დაშორებული იყო მისგან, ე. ი. მისი გავლენის გარეშე იმყოფებოდა, თავისი მატერიალური ნაწილი თითქმის მთლიანად დაჰკარგა. ამ პერიოდში, 1917 წ. ნოემბრიდან 1918 წლის თებერვლამდი რუსეთი უარმიოდ დარჩა.

ახლა უკვე გამორკვეულია, რომ სწორეთ ამ დროს გერმანიის სარდლობამ განიზრახა ღრმათ შეჭრა რუსეთში, მაგრამ ეს გეგმა რატომღაც ვერ განხორციელდა. გერმანელების შეტევამ ნარვაზე და შემდეგ პეტროგრადზე, როცა გერმანიის ცხენოსანი რაზმები გატჩინამდე აღწევდნენ, მოითხოვა რაიმე შეიარაღებული ძალის შექმნა და როგორც პეტროგრადის, ისე რუსეთის დასავლეთის და შემდეგ სამხრეთ-საზღვრების დაცვის ორგანიზაცია.

1918 წ. 19 თებერვლისათვის მთავარი შტაბის ლიკვიდაცია დასრულდა და 20 თებერვლისათვის მე, ყოფილ მეომრის სახით, ვაპირებდი ჩერნიგოვში გამგზავრებას. 1918 წ. 19 თებერვალს საღამოს ხელის მოწერით—„ლენინი"—მე მივიღე ასეთი შინაარსის სასწრაფო დეპეშა: „წინადადება გეძლევათ ყოფ. მთავარი შტაბის მთელი შემადგენლობით ჩამოხვიდეთ პეტროგრადში".

მოგილიოვში შედგენილმა სასწრაფო მატარებელმა დიდის ვაი-ვაგლახით გაიკვლია გზა სახლში მიმავალ ჯარისკაცთა ზღვაში და 22 თებერვალს მთავარი შტაბის დარჩენილი შემადგენლობით მიადგა ცარსკოე-სელოს სადგურს პეტროგრადში.

ნახევარი საათის შემდეგ მე, ოთხი გენერლის—ჩემი უახლოესი თანამშრომლების თანხლებით, უკვე ვიმყოფებოდი სმოლნში, ოთახში, ვლადიმირ ილიჩის კაბინეტის გვერდით.

ორი-სამი წუთის ლოდინის შემდეგ ოთახში თავისი ჩვეულებრივი სწრაფი ნაბიჯით შემოვიდა ვლადიმირ ილიჩი. მისალმებების შემდეგ პირდაპირ საქმეს შეუდექით.

ვ. ი. ლენინმა რუქის მიხედვით გვიამბო გერმანელთა შეტევის შესახებ და ეს ამბავი დაასრულა ამ სიტყვებით: „თქვენ, თქვენს ამხანაგებთან ერთად დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეთ ზრუნვას პეტროგრადის დაცვაზე. ჯარი ჩვენ არ გვყავს. პეტროგრადის მუშებმა უნდა გასწიონ შეიარაღებული ძალების მაგიერობა".

ქარხნების საყვირებით გამოვიწვიეთ მუშები... ასე დაიწყო შედგენა სახელდახელო შეიარაღებული ძალების, რაც პარტიზანობისა და მოხალისეობის საფუძველზე გრძელდებოდა იმ დრომდე, როცა შემოღებული იქნა საყოველთაო სამხედრო ბეგარა.

ამ გზით შედგენილი შეიარაღებული ნაწილები გაიგზავნენ ჯერ ნარვასთან, შემდეგ კი—რუსეთის დასავლეთ და სამხრეთ საზღვრებზე და მის გასწვრივ შექმნეს საფარი ფინეთის ყურედან დაწყებული წყნარ დონის ველებამდე! საფარის თითეული ნაწილი მზვერავებს გზავნიდა მოწინააღმდეგის მიმართულებით და კავშირი ჰქონდა მეზობელ ნაწილებთან. საფარი გაყოფილი იყო სამ ფრონტად: ჩრდილოეთის, დასავლეთის და სამხრეთის. თითეული ფრონტი დაყოფილი იყო უბნებად; თითეულ უბანს ჰყავდა საკუთარი საუბნო მარქაფი; თითეულ ფრონტზე თანდათანობით შეიქმნა ფრონტის მარქაფი.

ჩრდილოეთის და დასავლეთის ფრონტებზე მოწინააღმდეგეები იყვნენ გერმანელები; სამხრეთის ფრონტებზე კი ნაწილობრივ—გერმანელები (უკრაინაში), ნაწილობრივ კი—თეთრგვარდიელთა ნაწილები, რომლებიც იქმნებოდა დონზე და ჩრდილოეთ კავკასიაში.

საფარის შემდგენელი ნაწილები დგებოდა მოხალისეობის საფუძველზე.

ამავე დროს კი, 1918 წლის დასაწყისიდან, გამომჟღავნდა შინაგანი, სამოქალაქო ომის ნიშნები. ჯერ დაიწყო რუსეთის დასავლეთ ნაწილებში და გამოიხატა პოლონელებთან ბრძოლაში; შემდეგ ამ ომის კარები წარმოიშვა ქვედა ვოლგაზე და სხვა ადგილებში, გარეშე საფარის გავლენისა, რომლის მიზანი იყო სახელმწიფო საზღვრების დაცვა გარედან შემოჭრისაგან.

შინაგანი სამოქალაქო ომი სწარმოებდა რაზმებით, რომლებიც, უმრავლეს შემთხვევებში, თვითნებურად იყვნენ შედგენილი; ასეთ რაზმებს ჰქონდა პარტიზანული ხასიათი. ისინი მოქმედებდნენ საერთო გეგმის გარეშე, თითეული თავისებურად, და ხშირად არავითარი კავშირი არ ჰქონდათ არც საფარის ფრონტების სარდლობასთან და არც უზენაეს სამხედრო საბჭოსთან, რომელიც 1918 წ. 4 მარტს დაარსდა და რომლის სამხედრო ხელმძღვანელი ვიყავი მე მისი არსებობის განმავლობაში.

ამგვარი სეპარატიული და თვითნებური მოქმედებანი ყოველთვის როდი შეეფერებოდა მთავრობის გეგმებს და სამხედრო პირობების მოთხოვნილებებს.

ყველა გრძნობდა პარტიზანული რაზმების არსებობის და სახელმწიფო თავდაცვის საჭირო შეიარაღებული ძალების მოხალისეობის საფუძველზე შექმნის უხერხულობას. ამიტომ სრულიად ბუნებრივი იყო გადასვლა რეგულიარულ წითელ არმიაზე, რომელიც შეიქმნებოდა სავალდებულო სამხედრო ბეგარის წესით.

ამ საკითხზე 1917 წლის დეკემბრიდან მუშაობდა „სრულიად რუსეთის კოლეგია წითელი არმიის მოსაწყობად"; მისი მუშაობა დასრულდა დეკრეტით მუშურ-გლეხური წითელი არმიის შექმნის შესახებ, რომელიც გამოქვეყნდა 1918 წ. 23 თებერვალს (ახ. სტილით). რეგულიარული წითელი არმიის შექმნა იმ დროს ნიშნავდა—იმ პარტიზანული რაზმების დაშლას, რომლებიც არ ვარგოდნენ და სამსახურში დარჩენილ ყველა მოხალისეთა და პარტიზანთა გადაქცევას სახელმწიფო შეიარაღებული ძალების საკადრო შემადგენლობათ. პირველ ხანებისათვის დასახული იქნა ამოცანა, რომელიც მოითხოვდა თვითნებურ „არმიის სარდლების" ლიკვიდაციას მათ განკარგულებაში მყოფ ძალებით; ეს კი საკმაოდ ძნელი საქმე იყო, რადგან იმ ხანებში ცენტრის განკარგულებები ყოველთვის როდი აღწევდა მიზანს, „არმიების სარდლები" და „სარდლები" კი არ იყვნენ განწყობილი ამ ბრძანების შესასრულებლად.

შემდეგ მნიშვნელოვან ნაბიჯს წითელი არმიის ორგანიზაციის გზაზე წარმოადგენდა რესპუბლიკის მთელი ტერიტორიის დაყოფა 8 სამხედრო ოლქად, მსხვილ ადგილობრივ სამხედრო ცენტრებათ, რომლებიც შემდეგში უნდა გადაქცეულიყვნენ ცენტრალური ხელისუფლების განკარგულებათა საიმედო და მტკიცე ამსრულებლებათ.

ვლ. ბონჩ-ბრუევიჩი.



ახალი ცეცხლსაქრობი კიბე, დამზადებული ხარკოვის ცეცხლის მქრობელი რაზმის მექანიკოს **ლაპტიას** მიერ. კიბის სიმაღლე 24 მეტრს უდრის, ღირს 8.500 მანეთი. უცხოეთში დამზადებული ამგვარი კიბე კი 30.000 მანეთი ღირს.

# წითელი არმიის ყოფა-ცხოვრება

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფოტო—კოგანის

1) კავშირს აბამენ ნაწილებს შორის, 2) ტყვიისმფრქვეველის დატვირთვა ცხენზე, 3) საგუშაგოზე, 4) საიმედო ამხანაგი, 5) თავისუფალ დროს—ჭადრაკს თამაშობენ, 6) სწავლობენ ხიშტის მოხმარებას, 7) სასიგნალიზაციო აპარატი, 8) სროლა ნიშანში, 9) ლენკუთხეში, 10) ტყვიისმფრქვეველის დაშლა, 11) ცხენოსანი ნაწილები მანევრებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მარად გამარჯვებული

ე. ხუციშვილი

1917 წლის ოქტომბერი.

რუსეთში გაიმარჯვა მუშათა კლასმა და იგი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩაუდგა სათავეში ქვეყნის მართვა-გამგეობას.

აღშფოთდა კაპიტალისტური სამყარო, რადგან იგრძნო, რომ გამარჯვებული მუშათა კლასი მისთვის წარმოადგენდა უდიდეს საშიშროებას.

კაპიტალისტებმა დაიწყეს ბრძოლა რუსეთის მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ.

სამი წელიწადი გრძელდებოდა უმაგალითო ბრძოლა ნახევრად ტიტველ, მშიერ, ერთის მხრივ ცუდათ შეიარაღებულ წითელი არმიისა და მეორეს მხრივ ევროპის კაპიტალისტური სახელმწიფოების საუკეთესოდ გაწვრთნილ და შინაურ კონტრ-რევოლიუციის ბანდებს შორის.

ინგლისი, საფრანგეთი, სერბია, ბელგია, ჩეხო-სლოვაკები, ამერიკა, იაპონია და მრავალი სხვა სახელმწიფოები სცდილობდნენ ჩაეკლათ მუშურ-გლეხური სახელმწიფო, რომელიც საშინელ აჩრდილათ მოევლინა ბურჟუაზიულ ქვეყნიერებას.

123.000 უცხოელი ჯარისკაცი იბრძოდა 1918 წლის პირველ ნახევარში წითელი არმიის წინააღმდეგ, რომლის რიგებში პირველად ირიცხებოდა 164.000 მუშა და გლეხი.

ამას გარდა შინაურ კონტრ-რევოლიუციას ჰყავდა 100.000-ზე მეტი ოფიცერი და ჯარის კაცი.

1918 წლის 9 სექტემბერს საბჭოთა რესპუბლიკების ცაკის დადგენილებით საბჭოთა სახელმწიფო გამოცხადებულ იქნა შეიარაღებულ ბანაკად.

ლენინის ხელმძღვანელობით კომუნისტურ პარტიას მიჰყავდა რუსეთის მუშათა კლასი ერთი გამარჯვებიდან მეორემდე.

ყაზანი, დონი, უკრაინა, ციმბირი, ჩრდილოეთ-კავკასია, ყირიმი მოწმენი არიან წითელი არმიის უმაგალითო ბრძოლების, სიმამაცის და თავდადების.

უამრავი მსხვერპლი გაიღო წითელმა არმიამ მუშებისა და გლეხების გასანთავისუფლებლად და საბჭოთა ხელისუფლების გასამარჯვებლად.

იბრძოდა წითელი არმია და იგი გამოდიოდა გამარჯვებული, რადგან მას მართავდა და უჩვენებდა გზას კომუნისტური პარტია, თვით გამობრძმედილი მრავალ ბრძოლაში.

წითელმა არმიამ გაანადგურა ყველა მტრები—შინაური და უცხოელი. მან გასწმინდა კონტრ-რევოლიუციონურ ძალებისაგან რუსეთის ტერიტორია, განდევნა მის საზღვრებიდან ყველანი, ვინც ვერ შეურიგდა მუშებისა და გლეხების ხელისუფლებას.

***

1928 წლის 23 თებერვალს მუშურ-გლეხურმა წითელმა არმიამ იდღესასწაულა თავისი არსებობის 10 წლის თავი.

წითელი არმიის იუბილე გადაიქცა საბჭოთა კავშირის მშრომელთა უდიდეს ზეიმად.

წითელ არმიას მიესალმნენ მთელი ქვეყნის მშრომელები.

ამ დღეს ყველა ჩაგრულებმა, დედამიწის ხუთივე მატერიკიდან, ძმურ სალამთან ერთად, გამოსთქვეს თავისი სიყვარული და აღტაცება იმ ძალისადმი, რომელმაც საბჭოთა კავშირის მრავალმილიონიან მშრომელთ მისცა საშუალება ეცხოვრათ თავისუფლად და ემუშავათ სოციალიზმის დასამყარებლად.

***

თავდადებით იბრძოდა და იმარჯვებდა მუშურ-გლეხური წითელი არმია საბჭოთა კავშირის მრავალ საომარ ფრონტებზე.

ასეთივე თავდადებით იბრძოდა იგი შეიარაღებულ მტრების დამარცხების შემდეგ — სამეურნეო ფრონტზე.

მე-3-ე არმიამ გაანადგურა ადმირალი კოლჩაკის კონტრ-რევოლიუციონური ჯარი.

ეს არმია კოლჩაკის დამარცხების შემდეგ არ იქნა გაშვებული დასასვენებლად.

ამ არმიის წითელარმიელები გადასროლილ იქნენ სამუშაოდ ყაზან-ეკატერინებურგის რკინის გზაზე. მათ მიერ შეკეთებულ იქნა 663 ორთქლმავალი და 3.274 ვაგონი.

გენერალმა დენიკინმა გაანადგურა გროზნოს ნავთის მრეწველობა. დანგრეული იყო მრავალი ქარხანა, საწყობები.

კავკასიის მე-8-ე არმია, ბრძოლების შემდეგ, შეუდგა გროზნოს მიდამოების აღდგენას.

არმიელები თოფების მაგივრად შეიარაღდენ ნიჩბებით, წერაქვებით და მოკლე ხანში აღადგინეს გროზნოს მეურნეობა.

წითელი არმიის ისტორიაში მოიძებნება მრავალი ფურცელი, სადაც აღნიშნულია წითელი არმიის თავდადებული ბრძოლა სამეურნეო ფრონტზე.

***

მუშურ-გლეხური წითელი არმია ყოველწლიურად, შემოდგომით, უშვებს უვადო შვებულებაში მრავალ ათას წითელარმიელს.

რას წარმოადგენენ ეს შვებულნი?

გამოსადეგნი არიან თუ არა ისინი ახალი ცხოვრებისათვის?

შეუძლიანთ თუ არა მათ იმუშაონ ახალი სოფლის ასაყვავებლად, კულტურული ჩვეულებების ჩასანერგად მშრომელ გლეხობაში?

წითელ ყაზარმას მშრომელები უწოდებენ უდიდეს სკოლას, სადაც არმიელი იარაღის ხმარებასთან ერთად იძენს ისეთ ცოდნასაც, რომელიც საჭიროა მშვიდობიან ცხოვრებაში.

ვინ მოსთვლის, რამდენ არმიელს შეასწავლა წითელმა ყაზარმამ წერა-კითხვა.

მარტო ქართული ჯარის ნაწილებში წერა-კითხვა ისწავლა 12.000-მდე არმიელმა.

გადავხედოთ ჩვენი სოფლის კოოპერატივებს, გლეხკომებს, სამკითხველოებს—ყველგან შევხვდებით შვებულ წითელარმიელს, რომლებიც ნაყოფიერად იყენებენ ყაზარმაში მიღებულ ცოდნას.

ყოველი ყაზარმის კლუბში დაცულია წერილები, რომლებშიც შვებულნი მადლობით იხსენიებენ წითელ ყაზარმას, რომელმაც ისინი „ადამიანებათ გახადა“.

***

წითელი ყაზარმის დათვალიერება უდიდესი მოვლენაა ჩვენი წითელი არმიის ცხოვრებაში.

წითელი არმიის მეთერთმეტე წლისთავზე საბჭოთა კავშირის მშრომელები ათვალიერებენ ყაზარმას, ეცნობიან არმიელთ ყოფა-ცხოვრებას, უშველიან მათ.

ჯერ არ დამთავრებულა წითელ-ყაზარმის დათვალიერება.

მაგრამ შეიძლება თამამად ითქვას, რომ დათვალიერების შედეგმა გადააჭარბა მოლოდინს.

მე-11-ე წლის თავზე მუშურ-გლეხურ წითელ არმიას აქვს უდიდესი მიღწევები როგორც სამხედრო მომზადების, ისე კულტურულ დარგში.

წითელ არმიას მაღლა უჭირავს მრავალ ბრძოლებში გამარჯვებული, მრავალ საუკეთესო მებრძოლთა სისხლში შეღებილი წითელი დროშა.

წითელი არმია მარად გამარჯვებული მიდის წინ კულტურის ჩირაღდნით ხელში, ახალი გამარჯვებებისაკენ.

ე. ხუციშვილი.

# მშიერთა ლაშქრობა




ინგლისის სახალხო მეურნეობა ღრმა კრიზისს განიცდის. მრეწველობის მთელი რიგი დარგები ამცირებენ წარმოებას და ათასობით ქუჩაში ჰყრიან მუშებს. საბჭოთა კავშირთან ვაჭრობას შეეძლო შეენელებია ეს კრიზისი და სამუშაო მიეცა მრავალთათვის, რომლებიც ახლა სიმშილისგან იხოცებიან ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. კონსერვატორების ნაწილმაც კი იცვალა ფრონტი საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის საკითხში და ინგლის-საბჭოთა კავშირის ვაჭრობის განახლებას მოითხოვს. მაგრამ ბოლდუინის მთავრობის შუბლმაგარ მინისტრებზე არაფერი მოქმედობს; თუთიყუშივით იმეორებენ დაზეპირებულ ფრაზას: „არ გვსურს ვაჭრობა და ურთიერთობა საბჭ. მთავრობასთანო“.

კრიზისი კი ძლიერდება. უმუშევართა დამხმარე არავინ არის. პროფკავშირთა გენერალური საბჭო, შემდგარი რეფორმისტებიდან, ყურსაც არ იბერტყავს უმუშევართა დახმარების საქმის მოსაწყობად.

სასოწარკვეთილმა უმუშევრებმა გადასწყვიტეს თავისი მრისხანე აღშფოთების ხმა გააგონონ იმათ, ვინც დღეს ინგლისის ბედ-იღბალს განაგებს. ინგლისის სხვა და სხვა კუთხეებიდან ლონდონისაკენ დაიძრენ უმუშევართა რაზმები.—„მშიერთა ლაშქრობა“,—ასე უწოდებს პრესა უმუშევართა ამ დემონსტრაციას.

მთავრობამ გასცა განკარგულება, რომ უმუშევრებს შეხვედროდნენ როგორც მაწანწალებს, ე. ი. პოლიციას მიეცა დირექტივა რეზინის ჯოხებით შეხვედროდა მათ.

მაგრამ ხიკსის „ბიჭებმა“ ვერ მოახერხეს თავის შეფის ბრძანების შესრულება.

უმუშევრებს გზაში ხვდებიან ადგილობრივი მუშები, რომლებიც ძმურად ხვდებიან მათ: გასათევი ბინების მიცემით, სურსათ-სანოვაგით და სხვ.

სურათზე—ლონდონისკენ მიმავალ ერთ-ერთ რაზმის შეხვედრა შოტლანდიაში.

# ჩადროსანი

## ლ. მეტრეველი

— ზექია-ხანუმ! ეს ხომ შენა ხარ ზექია-ხანუმ!

ასე გაოცებული ალტაცებით წამოიძახა ზექია ქალმა, რა თავისი სახე პირველათ დაინახა სარკის ნატეხში.

აქნობამდის მან არ იცოდა—რა იყო სარკე.

აჭარის მიყრუებულ მთებში ეწეოდა მწყემსობას ზექიას მამა. სიღარიბე და გაჭირვებაში მიდიოდა მათი ცხოვრება. რამდენი რამ აკლდათ ოჯახში—ვინ ჩამოსთვალოს! არც სარკე ჰქონდათ.

ქალაქში ზექია არ ყოფილა. მახლობელ პატარა სოფელში კი ყველა ღარიბი იყო. არც აქა ჰქონდა არავის სარკე. ეს მართლა სიღარიბის ბრალი იყო თუ უბრალო შემთხვევისა—ვინ გამოიცნობს?

მაგრამ ან რათ გვინდა მის გამოცნობა! ზექიას არასდროს არ ენახა სარკე და არც იცოდა რა იყო იგი.

ასე იზრდებოდა თექვსმეტ წლამდის ზექია ქალი. მას ერთხელაც არ დაუნახავს თავისი სახე სარკის გულში.

ზოგჯერ ზაფხულში შუადღის გულზე გახურებული გუნებით რომ დასწაფებია მთის ანკარა წყაროს—მის სიღრმეში დაუნახავს თავისი სახე. მხოლოდ ეს სახე ჩრდილის მსგავსად ყოველთვის შავად ეჩვენებოდა. ნუ თუ თალხი ჩადრის გავლენა იმდენათ ძლიერი იყო, რომ მის ახდის დროსაც ისევ რჩებოდა რაღაც ბინდი ზექიას თეთრ სახეზე? და თეთრი რომ იყო ზექია—ეს თვითონაც კარგად იცოდა. მასთან შემთხვევით მოსულ ტოლებს რამდენჯერ შეუნატრიათ ალტაცებით:

— რა თეთრი ხარ ზექია!

— ნეტავი შენ წამყვანს ზექია!

და ჩქარა კიდევაც გამოჩნდა ზექიას წამყვანი. ახალგაზრდა ომარმა ულელ ხარათ იყიდა მშვენიერი ზექია.

მას ულელ ხარზე მეტი არც გააჩნდა სხვა საქონელი. მაგრამ უხაროდა მაინც, რომ თავისი გულის სწორი ასე იაფად იყიდა—სულ ულელ ხარად!

და როცა მოიყვანა იგი მამისეულ ღარიბ სახლში, პირველად აქ დაინახა ზექიამ თავისი სახე—სარკის ნატეხში.

გაოცდა ქალი ამ არხილულ მშვენიერებაზე. დიდხანს უცქირა დატყვევებულივით თუ მლოცველივით თავის მადლიან სახეს და...

და გული დასწყდა, რომ ამ სახეს ჩადრი აფარია! რომ ეს სახე სიცოცხლივ არის დასამარებული ქვეყნის უხილავად.

ზექიას არც აქამდის ეხალისებოდა ჩადრს უკან ჩქმალვა. მაგრამ სწორედ ეხლა იგრძნო იწვაველ მთელი სიმძიმე და საშინელება ჩადრისა.

თითქოს იქ, სარკეში თავის სახესთან ერთად ალმოიკითხა, რომ ჩადრის ტარება დანაშაულია. დანაშაულია—თავის თავისა და ქვეყნის წინაშე.

მაგრამ ვის გაუმხილოს ეს დანაშაული? ვინ გაიზიარებს ქარტეხილივით ამოვარდნილ მის აღშფოთებას?

— არავინ! არავინ!

ზექიამ გაბოროტებული სისწრაფით ჩამოგლიჯა ჩადრი და შხამიანი გველივით მიაგდო კუთხეში.

მაგრამ ეს ვისი ხმაა ეზოდან?

— ზექია-ხანუმ! ზექია ხანუმ!

ზექიამ დიდი დამნაშავესავით ისევ საჩქაროდ მოსძებნა ზიზლით გადასროლილი ჩადრი, ჩამოიფარა სახეზე და გავიდა კარში.

ეს იყო ზექიას მაზლი—მამედ და მისი რძალი—ნუნუმ.

ელაპარაკნენ რაღაც ოჯახურ საქმეებზე, საქონელზე. ზექია უპასუხებს მშვიდათ, მკაფიოთ. მაგრამ არავინ ხედავს, თუ შავ ჩადრს უკახ როგორ სცვივიან მდუღარე ცრემლები. არავინ ხედავს ზექიას ანთებულ სახეს. არა—იმის აღშფოთებულ გულს.

მას წინ აჰფარებია საიდუმლოების საზარელი კედელი—

საზარალი ჩადრი!

* * *

ზექიას როგორ შეუყვარდა ის სარკის ნატეხი! თავისუფალ დროს, მარტოობის დროს დათ შეფიცულივით მისჩერებოდა იქ თავის სახეს.

— რათა, რათ უნდა იყვეს დამალული ხალხისაგან ადამიანი? თუ კი ომარი უცქერის თავისუფლად ქვეყანას, მზეს, მთებსა და მინდვრებს, ის რაღათ უნდა იმალებოდეს ყველასაგან რაღაცა დამნაშავესავით?

აქ ზექია გულში მოხვედრილი ისარივით იგრძნობდა რაღაც უნუგეშო მარტოობას და შეებრალებოდა ხოლმე თავისი თავი როგორც ობოლი, დაკარგული, განწირული დასაღუპავად.

— როცა მიწაში იწვება ზექია, რომ შერჩებოდეს სიცოცხლის გრძნობა, ალბათ საფლავის ლოდი იმაზე მეტათ არ დაამძიმებდა, როგორც ამძიმებს ეხლა ეს შავი ჯამი, ეს შავი ჩადრი.

როცა ომართან მოვიდოდნენ მეზობლები, ამხანაგები, ზექია უნდა მორიდებოდა სადღაც გარეთ, მიყრუებულ კუთხეში. ამ დროს ზექია თავის თავს გრძნობდა ოთხფეხის სწორად, გალახულ და გარეთ გამოგდებულ ოთხფეხას სწორად.

მაშინ ზექიას გაალმასებული აფთარივით უცემდა გული. მაშინ აღეძროდა ხოლმე თავბრუდამხვევი ჟინი—ქარივით მიჰგლიჯ-მოგლიჯოს ეს მოსაბეზრებელი ჩადრი. შეიჭრას იქ, კაცებთან, გასწორდეს გულმართალი, ამაყი ადამიანივით და შესძახოს... და შესძახოს:

— მეც მინდა ვიყო თქვენთან! მეც შემიძლია ლაპარაკი! მეც შემიძლია რჩევა და აზრის გამოთქმა! მეც მინდა ვუცქირო და ვუსმინო ყველას! მეც ადამიანი ვარ!

მაგრამ... რაღაც ბორკილები ადამბლავებდენ მთელ მის არსებას. და ამ ბორკილებს ფეხებზე კი არა გრძნობს, არამედ—სახეზე, თავის მშვენიერ სახეზე.

* * *

ერთ დღეს ზექიამ ძროხა გამოიყვანა გზის პირად ტყეში. ზაფხული იყო. სიცხის ბული ტრიალებდა ჰაერში ყველგან. მთელი ბუნება, მთელი გარემო თხოულობდა სილაღესა და თავისუფლებას. ადამიანი თითქოს აქ უნდა გამოდიოდეს მხოლოდ სანებივროთ და სანეტაროთ. ყველაფერ ამას თავდაუჭერელ ცდუნებათ გრძნობს ზექია-ქალი. მაგრამ ეს წყეული ჩადრი როგორ საგანგებოთ ამძიმებს მაინც იმის არსებას!

— ვინ მოიგონა, რათ მოიგონა მარტო ქალების დასათრგუნავად ეს სახის... არა, მთელი სიცოცხლის დამსამარებელი საბურველი?

გული უწუხს ზექიას. სულიც ეხუთება. ყოველი ძწერი, ყოველი ჭიანჭველა თავისზე ბედნიერად ეჩვენება. უბრალო ხის ან რომელლაც მცენარის ბედიც კი უფრო სახარბიელოა, ვიდრე ჩადრით სახეჩაბნელებულ ზექიასი.

უეცრივ ეს რა ხმაური ისმის შორიდან?

ეს რა მოჭქრის შავი ვეშაპივით ასე სწრაფად?

— ჰოო! უხარებო და სწრაფმა „ურემმა“ ერთხელაც გაიარა აქეთ, მაგრამ მაშინ კარგათ ვერ დაინახა ზექიამ. ეხლა მაინც...

და ზექიამ მარჯვეთ მოქნეული ხმალივით აჰკრა ხელი თავის ჩადრს, რომელიც ზურგზედ ჩაეფინა—შავ ნაწნავებთან.

ის გულხელდაკრეფით მიეყუდა ხეს და განცვიფრებული შველივით მისჩერებია უცნაური ალიაქოთით მომქროლავ ჯადოსნურ ეტლს.

აგერ მოახლოვდა კიდეც იგი. შიგ სამი კაცი ზის და ორიც ქალი.,. უჩადროთ. მახ დამფოთხალი ვეშაპივით გაისრიალა წინ და მიესწრაფის საითლაც შორს.

შიგ მჯდომმა კაცებმა თვალი მოჰკრეს ზექიას. ყველამ მოიტრიალეს თავი და ღიმილით ან ეგები გაკვ რვებითაც მისჩერებიან ტყის მომჯადოებელ ასულივით გადმომდგარ ზექიას.

მიჰქრის საზღაპრო ეტლი და შიგ მჯდომნი ვერ აშორებენ თვალს მათკენ ღიმილით მაცქერალ დედოფალს.

ბოლოს შესრიალდა ტყეში და გაჰქრა სამუდამოთ.

— ნეტავი თქვენ! ნეტავი თქვენ!

ამოიკვნესა ზექიას გულმა. და მისმა ხელმა კი მძიმე სასჯელივით ისევ ჩამოუშვა სახეზე პირქუში ჩადრი.

* * *

სასოფლო კრებაა. ყველა უნდა დაესწროს იქ. ქალებიც უნდა იყვნენ უეჭველად. მეტადრე ისეთი ღარიბი ქალები—როგორც ზექია.

# ექსპერტთა კონფერენცია

პარიზში ამჟამად მიმდინარეობს ე. წ. ექსპერტთა კონფერენცია, რომლის მიზანია გერმანიის სარეპარაციო გადასახადების საკითხის მოგვარება.



ექსპერტთა კონფერენციის პლენარული სხდომა.

# ახალი აკადემიკოსების არჩევნები



13 თებერვალს მოხდა სამი აკადემიკოსის—ამხ. ფრიჩეს, დებორინისა და ლუკინის დამატებითი არჩევნები მეცნიერებათა საკავშირო აკადემიაში. სხდომას დაესწრენ ყველა ახლად არჩეული აკადემიკოსები, მათ შორის **ამხ. ბუხარინი, პოკროვსკი, რიაზანოვი, კრჟიჟანოვსკი და სხვ.**

დანიშნულ დროს ყველა იქ არის. არც ზექია დაჰკლებია. მაგრამ ვის შეატყობს—ზექიაა ის, ნუნუშა თუ სხვა ვილაც გადამთიელი? ყველა გამოხვეულა შავ სუდარაში უსახურად, უს ხელოდ, უცნობლად.

დაიწყო კრება. შინაურებ ს შემდეგ მაღლა ავ და ბათომიდან მოსული ახალგაზრდა. მ ნ საკმარისად ილაპარაკა ბევრ სხვა ამბებზე და ერთიც ვნახოთ..,

ეს რაზე ლაპარაკობა?

ჩადრის წინაალმდეგ! ის ამტკიცებს, რომ ჩადრი საშინელებაა! ეს მონობაა და ჩაგვრის მომასწავებელია! ის უნდა მოისპოს როგორც ნაშთი დრომოჭმულ ადათ-ჩვეულებისა! ამგვარად სამუდამოთ უნდა გათანასწორდნენ ერთმანეთში ქალი და კაცი!

ოო, ზექიას არ უნდა ამისი მტკიცება. ამას თვითონაცა გრძნობს. სახე ულიმ ს ნეტარებით. თვალებში სიხარულის ცრემლი მოსდის. მაგრამ ვ ნ ხედავს ჩადრის უკან მის ღელვარებას! მას უნდა ეხლავე აიგლიჯოს ეს სულის შემხუთავი ჩვარი და დაანახოს ხალხს—თუ როგორ უხარია თავისუფალი სახით გავლა ქვეყანაზე, მაგრამ ვაი თუ...

ამას რას ამბობენ? კარგა დაუგდეთ ყური!

ბათომში კრილობა იქნება აჭარელ და თურქ ქალებისა? დელეგატებად არჩეულ არიან... უჰ! რამდენი ნაცნობებია! და ზექია სურმანიძეც!

ზექიას სჯერა და არცა სჯერა.

ნუ თუ მართლა ე ე ჩქარა შესრულდება იმისი ნატვრა!

* * *

დიაღ, ყველაფერი ეს ცხადია, მაგრამ როგორა ჰგავს რაღაც მომხიბლავ ზღაპარს, ან ლამაზ სიზმარს!

ამოდენა დარბაზი! ამდენი ხალხი! ამდენი სინათლე!

ქალები და კაცები ერთად სხედან! რაღაც სამოციოდე ქალის გარდა ყველა უჩადროთ არის!

ეს მეორეთ მოსვლაა! სანატრელი, საბედნიერო მეორეთ მოსვლაა!

ზექიას მთელ სიცოცხლეში არ ახსოვს ასეთი სიხარული. ის ჩქარ-ჩქარ გაჰხედავს იქვე ნაპირზე მდგომ ომარს. უნდა ღიმილით გაუზიაროს თავის გულში დაზღვავებული ნეტარება. ომარიც იცქირება მისკენ, მაგრამ ხედავს მხოლოდ ჩადრს და არა ზექიას მოზეიმე სახეს.

აგერ სალაპარაკოზე წამოდგა სანდომიანი სახის მოხუცი.

რა გასაგებ და სადა რამეებს ამბობს. ზექიას ისე ეჩვენება, თითქოს ამ მოხუცს სათუთად აუკრეფია ყველა ის ფიქრები, რომლებიც მას დაუბნევია იქ თავის მიყრუებულ კუთხეში მარტოდ ყოფნის დროს.

გათავდა ლაპარაკი. ყველა ტაშს უკრავს. ყველა ხმაურობს. ნამდვილი დღეობაა, იშვიათი დღეობა, რომლის მსგავსსაც ნუ თუ კიდევ ნახავს ოდესმე ზექია!

აგერ ეხლა სხვები ავიდენ სალაპარაკოდ. ერთი, ორი... ათი.

ყველა იძახის.

— ძირს ჩადრი!

და მთელი დარბაზიც დიდი მთების გა ოძახილივით ბანს აძლევს—

— ძირს ჩადრი!

ყველაზე თავგამეტებით კი გაჰკივის ზექია. რატომ იმისი ხმა არ ისმის ყველასაგან გარჩევით? საგანგებო ზარივით?

აგერ ქალებიც ადიან სალაპარაკოზე! აჭარელი, ჩადრიანი ქალებიც!

წყალში რომ საბანაოდ ჩასცვივიან ხოლმე, ისეთი სიხარულითა და ძალღონის გამოფხიზლებით გაჰკივიან.

— ძირს ჩადრი!

აქ ცეცხლიც გაჩნდა. და ამ ცეცხლზე იწვის ერთი ჩადრი, მეორე, მესამე.

აგერ ვილაც შორიდან მოსული ალგზნებულათ ლაპარაკობს და ბოლოს მიმართავს აჭარელ ქალებს.

— სალამი თქვენ სახეს! თქვენ თავისუფალს ხეს!

აქ წინა რ გები ირღვევა. გამბედავათ მოდის ხალხში ერთი ჩადროსანი.

მარჯვეთ ადის სალაპარაკოზე. ფრთეგაშლილი ყორანივით გადაიფრიალებს უკან ჩადრს და... ომარის თვალები რას ხედავენ?

იმისი ზექია გამარჯვებული დედოფალივით სდგას შუა ხალხში და ლაპარაკობს კიდეც. ომარი უცქერის, უსმენს ზექიას და ვეღარ გაუგია—რა სასწაული ხდება იმის გარშემო:

ზექია, იმისი კარგი ზექია არასოდეს არ ყოფილა ასე მშვენიერი. ეს ხომ ნამდვილი მზე არის—ზაფხულში მთების გულიდან ამომავალი! რატომ წინედ არასდროს არ შეუმჩნევია, რომ ზექია ასეთი ლამაზია, ასეთი ტანადია, ასეთი... ოო, სულ სხვანაირია;

კარგზე კარგი, სათაყვანოზე სათაყვანო, იმისი ხმა ხომ მიმინოს ფრთებით გაჭრილ ჰაერის მკვეთრი ხმა არის

ომარი ცოტა გამოერკვია თავბრუს დამხვევ ბურანიდან და ესმის ზექიას უკანასკნელი სიტყვები:

— აქამდის არაფერი არ ვიყავით, ეხლა გავხდით ადამიანები!

— აქამდის ღამე იყო ჩვენთვის. ეხლა გაგვითენდა!

— ძირს ჩადრი!

და ზექიას მხრებზე მჯდომი შავი ყორანი სწრაფად გადაფრინდა ანთებულ ცეცხლში.

აგერ ხალხს კიდევ მოარღვევს ვილაც. უფრო გამბედავათ, უფრო სწრაფად, ვიდრე ზექია. ყველა გზას უთმობს წამაქეზებელი გულკეთილობით. და რა შეხედავს ზექია სალაპარაკოზე ხარ-ირემივით ამოჭრილ ვაჟკაცს—იმაში იცნობს თავის ომარს.

ომარმა თითქოს შეიბერტყა თავისი განიერი მხრები და...

— ხალხო! ამხანაგებო! სირცხვილი ჩვენ, კაცებს, რომ აქამდის ვიტანდით ჩვენი დედების, ჩვენი ცოლების, ჩვენი შვილების დამცირებას.. ამიერიდან ყველა თანასწორი ვიქნებით—კანონში და ცხოვრებაში... აგე მგონია ჩემი ცოლი აქამდის უცხო იყო და მხოლოდ ეხლა გავიცანი ნამდვილად, როცა ჩადრ-ჩამოხსნილსა ვხედავ..

აქ აღტაცებით მიუბრუნდა ზექია ქალს.

— მაშ გამარჯობა ჩემო ზექია! ძირს ჩადრი!

— გამარჯობა, ჩემო ომარ! ძირს ჩადრი!

ხელი ხელს გადაეჭდობა და ბაგეც—ბაგეს.

მეზობელ შავი ზღვის მსგავსად ამძვინვარებულ ხალხში გაისმის ტაშის გრგვინვა, საზეიმო ძახილი..

ზექია და ომარს კი ჰგონიათ, რომ ეხლა იხდიან ნამდვილ ქორწილს, იშვიათ ქორწილს, ყველაზე დამათრობელ ქორწილს.

**ლევ. მეტრეველი.**



**სასტუმრო „ასტორია“ პარიზში, სადაც მიმდინარეობს კონფერენცია. ზევით კუთხეში—ოუენ იუნგი, კონფერენციის თავმჯდომარე.**

# საუბარი პროფესორ ალბერტ აინშტაინთან*)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა ჟურნალ-გაზეთში ცნობა დაიბეჭდა, რომ რამდენიმე წლის პაუზის შემდეგ პროფესორ ალბერტ აინშტაინს ხელახლა დიდი აღმოჩენა გაუკეთებია. პრუსიის სამეცნიერო აკადემიაში მას წარუდგენია შრომა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ბუნებისმეტყველებისთვის. ამ ცნობამ და აგრეთვე დიდი ხნის სურვილმა, რომ მესაუბრა დიდ ფიზიკოსთან იმ პრობლემებზე, რომლის გადაჭრასაც მას თანამედროვე ბუნებისმეტყველება უნდა უმადლოდეს, მაიძულეს ბერლინში გავმგზავრებულიყავი, რათა აინშტაინისთვის მეთხოვა ერთი საათი ეჩუქებია ჩემთვის სასაუბროთ; ჩემს თხოვნაზე იმ დღესვე თანხმობა მივიღე. მაშინვე გავეშურე ბერლინის ერთ უწყნარეს ქუჩისკენ, სადაც ეს დიდი მეცნიერი სცხოვრობს. ჩემი სადარბაზო ქაღალდი გადავეცი და მაშინვე მაღალ, წყნარ ოთახში შემიყვანეს. მხოლოდ დიდი ტელესკოპი ამჟღავნებს, რომ აქ ბუნებისმეტყველი ბინადრობს; სკამზე მოთავსებულია სურათის ესკიზი, რომელიც აინშტაინის დამახასიათებელ თავს გამოხატავს, დახუჭული თვალებით. დიდი როიალი, რომელიც აქვე კუთხეში სდგას, მოგვაგონებს, რომ ეს სახელოვანი მეცნიერი მუსიკის ერთგული მეგობარიც არის. შემოდის აინშტაინის მეუღლე, სერიოზული, ღირსებით აღსავსე მანდილოსანი, სალამს მაძლევს და მეუბნება, ჩემი ქმარი გელითო.

შევდივარ პატარა, სრულიად უბრალოდ მოწყობილ ოთახში. მაგიდა ქაღალდებით და წიგნებითაა დაფარული; იქვე სახელურიანი სკამი სდგას, ხოლო ცოტათი მოშორებით წიგნების თაროა, მეორე პატარა მაგიდა და ორიოდე სკამი; ესაა მთელი კაბინეტის ავეჯეულობა; აქ აზროვნობს და ჰქმნის ერთი უდიდესი თანამედროვე მოაზროვნე.

აინშტაინი მეგობრულად მომესალმა და ჩემს პირდაპირ დაჯდა ელექტრონის სათბობის წინ; იანვარია და ბერლინში საშინელი ქარბუქია. აქამდე აინშტაინი არასოდეს არ მინახავს და პირველი შეხედვისთანავე თვალში მეცა სწორეთ ის, რასაც მისი ნაცნობები განსაკუთრებით აღნიშნავენ: მისი გასაოცრათ ნათელი და წყნარი თვალები. იგი დაუყოვნებლივ საუბარს იწყებს თავის ახალ შრომაზე. ეს შრომა მათემატიკური ფორმულების სერიას წარმოადგენს, რომელიც საწერი მანქანით დაბეჭდილ ექვს გვერდს შეიცავს.

აინშტაინის შრომის საბაბი იყო ის გარემოება, რომ დღემდე ფიზიკაში ორ, ერთი მეორის გვერდით არსებულ ძირითად ძალას სთვლიდნენ ყოველი ბუნებრივი მოვლენის მიზეზათ: ელექტრომაგნეტიურ ძალას და სიმძიმის ძალას, ელექტრომაგნეტიზმს და მიმზიდველობას (გრავიტაციას).

„არა დამაკმაყოფილებელი ნაშთი ზოგადი რელატივობის თეორიაში,—ამბობს აინშტაინი,— იყო ის ფაქტი, რომ ბუნების მოვლენათა ასახსნელად და მთლიანი მსოფლიო შენობის ასაგებათ მიღებული იყო მატერიის ორი პირვანდელი თვისება: მიმზიდველობა, რომელიც როგორც მოძრაობის კანონთა მიზეზი, მექანიკის საფუძველს წარმოადგენს და ელექტრომაგნეტიზმი, რომელზედაც აგებულია მოძღვრება სი-

*) ჩვენ ვბეჭდავთ ზემოთმოყვანილ საუბარს დოკუმენტის წესით. ის მოთავსებულია ვენის გაზეთ „ნოიე ფრაიე პრესსე“-ში (26 იანვარი) და ეკუთვნის, როგორც გაზეთი ამბობს, ერთ „შემთხვევით კორესპონდენტს“.

რედ.



ა. აინშტაინი

ნათლესა, ელექტრონულ მოვლენებსა და სითბოზე. უკვე დიდი ხანია მე მინდოდა ბუნებრივ ძალთა ამ გაორების ადგილას მთლიანობა შემექნა. ახლა ამისთვის უკვე ნაპოვნი მაქვს ფორმა. მე მოვიგონე სივრცის კონსტრუქცია, რომელიც რელატივობის თეორიის სივრცისა და სხვა ოთხგანზომილებიანი სივრცეებისაგან განსაკუთრებული პირობებით განსხვავდება და ნებას გვაძლევს ელექტრომაგნეტიური დარგის და მიმზიდველობის დარგის ცვლილებანი და კანონები ერთი და იმავე მათემატიკური ფორმულებით გამოვხატოთ“.

—„ამრიგათ ბუნების ძალთა მთლიანობა სპეკლატიური გზით აღმოგიჩენიათ, მათემატიკური ფორმის სახით და ეს მთლიანობა მათემატიკურათ გამოგიხატავთ. ეს იმას ხომ არ ჰგავს, თქვენ რომ რელატივობის თეორიაში დაამტკიცეთ, რომ სიმძიმე და ინერცია იდენტიური უნდა იყონო?“

—„დიახ,—მიპასუხა აინშტაინმა,—დღეს ხელახლა იღვიძებს სპეკულატიური ფიზიკა და მას ზოგიერთი მოწინაალმდეგე უსამართლოდ ებრძვის. დიდ კლასიკურ ეპოქებში ფიზიკა ყოველთვის სპეკულატიური იყო. როცა ნიუტონმა აბსოლუტურათ წმინდა, უსხეულო სივრცე წარმოიდგინა და მოძრაობათა კანონები საფუძვლად გახადა, მან კარგად იცოდა, რომ ეს სივრცე მისი ფიზიკის სპეკულატიური ელემენტი იყო. მან იცოდა თავისი სივრცის ცნების სუსტი მხარეები, მაგრამ ეს ცნება სჭირდებოდა; და მისი სიდიადე იმაში მდგომარეობდა, რომ შეგნებულათ იყენებდა ამ ცნებას მისი ნაკლულოვანების მიუხედავათ.

დიდი ხნის განმავლობაში ფიზიკოსები მოკლებულნი იყვნენ სპეკულატიურ ნებისყოფას, რომელიც ბუნების შენობის მთლიანობას მოითხოვს. ცნობილი გერმანელი ფიზიკოსი ერნსტ მახი პირველი იყო, რომელმაც ფილოსოფიური პრინციპი წარუმძღვარა თეორიულ ფიზიკას, სახელდობრ შემდეგი მოთხოვნილება: ფიზიკის შენობა უნდა აგებულ იქნას რაც შეიძლება მცირერიცხოვანი წარმძღვარების შემწეობითო. სიმძიმის მოვლენათა და ინერციის მოვლენათა გაიგივება რელატივობის თეორიაში ნიშნავს ერთი ნაბიჯის წინ გადადგმას ფიზიკის ძირითადი ცნებების შემცირების გზაზე. ნიუტონს აბსოლუტური სივრცე სჭიროდა, რათა ინერცია აეხსნა. საყოველთაო რელატივობის თეორიის მიხედვით კი ეს ერთი და იგივე ძალაა, რომელიც ქვის მიწაზე ჩამოვარდნას იწვევს და უეცრად შეჩერებულ რკინის გზის ვაგონში მგზავრს წინ უბიძგებს. აგრეთვე დროსა და სივრცის შედუღება მიმზიდველობის ძალასთან ერთად და ოთხ განზომილებიანი მსოფლიო შენობის წარმოდგენა და რელატივობის თეორიის მრავალი სხვა მიღწევა აკმაყოფილებს მახის იდეალურ მოთხოვნილებას, რომ ფიზიკური ცნებანი უნდა განმარტივდნენო. ერთი სიტყვით, ჩემი ახალი შრომის მიზანია ორი ძირითადი ძალის მაგივრათ ერთი ძალით ავხსნა ბუნების მოვლენები; ამიტომ ამ შრომას ჰქვია: „ერთიანი ძალის თეორიისათვის“.

„ესაა ფუნდამენტალური მნიშვნელობის აღმოჩენა,—ვუთხარი მე,—რომელსაც ჩვენი ბუნების შემეცნებისთვის ისეთივე ღირებულება აქვს, შეიძლება მეტიც, როგორიც მაქსველის და ჰერცის სახელგანთქმულ აღმოჩენას ჰქონდა ელექტრონის ტალღების ბუნებაზე; მათ სცნეს საიდუმლოებით მოცული ბუნებრივი მოვლენის, ელექტრომაგნეტიზმის, არსება და დაამტკიცეს, რომ იგი იმავე სახისაა, როგორისაც ჩვენთვის ცნობილი და ჩვეულებრივ მოვლენათ მიჩნეული—სინათლე. ჰერცმა დაამტკიცა, რომ რაც მანამდე მხოლოდ სინათლის სხივის თვისებათ ითვლებოდა, სახელდობრ, რომ იგი სარკეზე გამონაკრთომს იძლევა, სითხესა და სხვა მედიუმში ტყდება, ხოლო სათანადოთ შეზნექილი შუშის მიერ შეიძლება დაგროვილ იქნას,„ელექტონული ძალის სხივების“ თვისებასაც წარმოადგენს; ამის შემდეგაც ხომ განვითარება იმ გზით წავიდა, რომ გარეგნულად განსხვავებული მოვლენების მთლიანობა გამომჟღავნდა?“

აინშტაინი თავს მიქნევს დასტურის ნიშნათ. „თქვენ გულისხმობთ სპექტრის დიდებულ სისტემას, რომელიც დღეს ენერგიის სხივოსნობის ყოველ ფორმას შეიცავს, იმ ულტრაიისფერ სხივებსაც, რომელიც მილიმეტრის რამდენიმე მეათასედი ნაწილის სიგრძის არის, მხოლოდ ქიმიურათ მოქმედობს და უხილავს ტალღას წარმოადგენს, ხილული სინათლის სხივებსაც, სითბოს უხილავ სხივებსაც და ბოლოს ელექტრონის სხივებსაც, რომლის ტალღათა სიგრძე ხშირად მრავალ კილომეტრს აღწევს“.

შემდეგ ჩვენ ვსაუბრობთ ამ ახალი ფიზიკური აღმოჩენების ფილოსოფიურ შედეგებსა და დასკვნებზე. აინშტაინი დიდად კმაყოფილია, რომ ფილოსოფია ბოლო დროს სერიოზულად და გულმოდგინეთ სცდილობს ახალი ფიზიკის მიერ შექმნილი სამყაროს სურათი შემეცნების თეორიის ფორმულაში ჩამოაყალიბოს.

მე მივუთითე იმ სიძნელეს, რომელიც ფილოსოფიას წინ ეღობება, როცა იგი სცდილობს საბოლოოთ ჩამოყალიბებულ ფორმულაში თავისი მსჯავრი დასდოს ფიზიკის შეხედულებებს. განვითარება ისეთი ჩქარი ტემპით მიმდინარეობს, რომ ორიოდე წელიწადში ალბათ სრულიად ახალი ცოდნა და ახალი აზრები შეცვლიან დღევანდელ ცოდნასა და აზრებს. დღეს აღარ ვიცით რამდენხანს შეინარჩუნებს კიდევ ძალას ფიზიკის ზოგიერთი თეორია, მაგალ. მოძღვრება ატომების აღნაგობაზე და სხ.

— დიდხანს ვერც ერთი ვერ ინარჩუნებს ძალას,—ამბობს აინშტაინი და იღიმება:—მაგრამ ამას მნიშვნელობა არ აქვს, თუ ისინი ჭეშმარიტების გამორკვევას უწყობენ ხელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მუშფაკების არსებობის ათი წლის თავი

ვ. ნ—ლი.

განვლო ათმა წელმა, რაც საბჭოთა რუსეთის დიდ საწარმოო ქალაქებში პირველად დაარსდა მუშათა ფაკულტეტები. ეს ის ხანა იყო, როდესაც რუსეთის პროლეტარიატს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ჰქონდა კონტრრევოლიუციონერ გენერალ დენიკინის ჯარებთან და შეუჩერებლივ მიიწევდა წინ, გამარჯვებისაკენ.

1919 წ. თავგანწირულმა წითელმა ჯარმა ყველა კონტრრევოლიუციონურ გენერლების ბანდები სამუდამოთ გაანადგურა.



ფოტო—კოგანის

რკინისგზის მუშფაკი.—ფიზიკის გაკვეთილზე.

მაგრამ პროლეტარიატი არ დაკმაყოფილდა მარტო სამხედრო ფრონტებზე გამარჯვებით. სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ მან დაიწყო ბრძოლა ახალი ცხოვრების შესაქმნელად, რისთვისაც საჭირო იყო ახალი ადამიანი, საჭირო იყო მუშებისა და გლეხების კულტურული დონის ამაღლება, მათი ჩაბმა სამეცნიერო მუშაობაში. ასეთი ადამიანის მოცემა კი შეეძლო მხოლოდ და მხოლოდ ისეთ დაწესებულებას, სადაც შესაძლებელი იქნებოდა დაზგის მუშების მომზადება უმაღლეს სასწავლებლებისათვის. მუ-



ფოტო—კოგანის

ნუშფაკელი სახლში მეცადინეობის დროს.

შათა ფაკულტეტების მიზანი და დანიშნულება სწორეთ ამ ახალი ადამიანების მომზადება იყო და არის. მუშფაკი არის პროლეტარული სახელოსნო, სადაც იწვრთნებიან და მზადდებიან ახალი ძალები, ახალი მებრძოლები სოციალისტურ მშენებლობისათვის. დიდმა ოქტომბრის რევოლიუციამ, მუშფაკების საშვალებით მრავალ მილიონიანი პროლეტარი ჩააბა სწავლა-განათლების საქმეში და დაუკავშირა ისინი მეცნიერებას.

გაამართლეს თუ არა მუშათა ფაკულტეტებმა თავისი დანიშნულება?

თუ გადავავლებთ თვალს მუშათა ფაკულტეტების მუშაობას განვლილი ათი წლის მანძილმართლეს იმედები, არამედ მოლოდინსაც გადააჭარბეს. ეს იქიდანაც სჩანს, რომ მუშფაკების რიცხვი თანდათან იზრდება. თუ წინად მუშფაკები მხოლოდ დიდ საწარმოო ქალაქებში იყო, დღეს მუშფაკები საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა ქალაქებშია და მათი საერთო რიცხვი ზე, დავრწმუნდებით, რომ მათ არამც თუ გააუდრის 122,48799 მსმენელით. დღემდე მუშათა ფაკულტეტებს მრავალი ათასი დაზგის მუშები გამოუშვია საშუალო ცოდნით და ჩაუბამს ისინი სამეცნიერო მუშაობაში.

მუშათა ფაკულტეტი პირველად 1922 წელს დაარსდა, მაგრამ ამ შვიდი წლის განმავლობაშიაც მუშფაკებმა ჩვენშიაც საკმაოდ დიდი ნაყოფი მოგვცეს. დღეს საქართველოში სულ 5 მუშფაკია: ამხ. მიხა კახიანის სახელობის მუშფაკი, რუსული, სომხური, რკინისგზელთა მუშფაკი და ერთიც ბათომში. ამ მუშფაკებში მოსწავლე მუშათა საერთო რიცხვი 1800-მდე აღწევს. უმაღლეს სასწავლებლებში დაახლოებით 18% მუშფაკელები შეადგენენ. გარდა ამისა, მუშფაკელები გაგზავნილი არიან აგრეთვე რუსეთის სხვადასხვა ქალაქის უმაღლეს სასწავლებლებშიაც.

მუშათა ფაკულტეტებზე სწავლობენ მხოლოდ და მხოლოდ მუშები და გლეხები, რომლებსაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე არ ჰქონდათ საშვალება მიეღოთ უმაღლესი სწავლა. კერძოთ რკინისგზელთა მუშფაკის მსმენელთა შემადგენლობის დაახლოებით 95 პროცენტი რკინისგზის ორთქლმავალთა და ვაგონების შემკეთებელი ქარხნის და დეპოს დაზგის მუშები არიან. ყველა მათგანი, რვა საათის განმავლობაში ეწევა ფიზიკურ მუშაობას, მათი ყურები გაბრუებულია გრდემლისა და ჩაქუჩის ხმაურით. ფიზიკურ მუშაობიდან ორი საათის დასვენების შემდეგ კი მიდიან მუშფაკში და ღამის 9 საათამდე გახაგრძობენ გონებრივ მუშაობას.

ასეთივე პირობებში უხდებათ სწავლა რუსული და სომხური მუშფაკების მსმენელებსაც.

რაც შეეხება ამხ. მიხა კახიანის სახელობის მუშათა ფაკულტეტს, აქ ამ მხრივ ცოტა უკეთესი მდგომარეობაა. უკანასკნელ ხანებში ამ მუშფაკში უკვე შემოიღეს დიდი მეცადინეობა სტიპენდიანტ მსმენელთათვის.

ასეთია მუშათა ფაკულტეტების მდგომარეობა ჩვენში. ეს მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება და მუშებსაც უადვილდებათ უმაღლესი სწავლის მიღება.

ახლო მომავალში მრავალი მუშფაკელი დაამთავრებს უმაღლეს სასწავლებელს. ყველა ისინი კვლავ დაუბრუნდება თავის წარმოებებს და უფრო მეტი ცოდნა-გამოცდილებით შეუდგება მუშაობას ახალი ცხოვრების შესაქმნელად.

ვ. ნ—ლი.

# საკავშირო საფილოქსერო თათბირი თბილისში



ოციდან ოცდაოთხ თებერვლამდე ტბილისში მიმდინარეობდა სრულიად საკავშირო საფილოქსერო თათბირი. სურათზე—თათბირის სხდომა.

# საქართველოს მუზეუმის იშვიათი კოლექცია

## (მუმია და სარკოფაგი)

**გ. ჩიტაია**

საქართველოს მუზეუმის მრავალ ღირსშესანიშნავ კოლექციებში მოიპოვება ერთი იშვიათი კოლექცია, რომელიც ეგვიპტიდანაა ჩამოტანილი და ხნოვანობით 250 წლის მეტისაა. იგი წარმოადგენს ხის კუბოს (სარკოფაგს), რომელშიც მოთავსებულია დღემდე გაუხრწნელად შენახული ადამიანის ნეშტი (მუმია).

ეგვიპტელების შეხედულებით ადამიანის სული (ეგვიპტურად ეწოდებოდა კ ა) ცოცხალი არსება იყო და მას შეეძლო სიხარულის და მწუხარების შეგრძნობა, აზროვნობა და სმა-ჭამა. ადამიანის უკანასკნელ ამოსუთქვასთან ერთად იგი როდი ისპობოდა, არამედ სიცოცხლეს განაგრძობდა. მაგრამ სიცოცხლის გაგრძელება სავსებით დამოკიდებული იყო იმისგან, თუ რამდენად შენახული იქნებოდა მისი სამყოფი ჭურჭელი, ადამიანის ნეშტი. რამდენად ნეშტი ლპობისა და გახრწნისაგან იყო დაცული, იმდენად სულიც უკვდავი უნდა ყოფილიყო; წინააღმდეგ, თუ ნეშტი იხრწნებოდა, სული საშინელ ტანჯვაში ვარდებოდა: იგი გონებას ჰკარგავდა, თანდათან ილეოდა და ბოლოს, ნეშტის გაქრობასთან ერთად, ისიც სამუდამოდ ისპობოდა. რომ ადამიანის ორეული, მისი სული (კ ა) ამ საშინელ ტანჯვას და სამუდამო გაქრობას აცდენოდა, საჭირო იყო ადამიანის ნეშტის გაუხრწნელად დაცვა. ამ მიზნის მისაღწევად ეგვიპტელები კარგად ნაცად საშუალებას მიმართავდნენ. ისინი წამლითა და სურნელოვან ნივთიერებით ისე გაჟღენთავდნენ ნეშტს, რომ ის საუკუნეების განმავლობაში კარგად ინახებოდა. ჩვენ დრომდე ასე გაჟღენთილი, ხნოვანობით 3000 წ. მეტის



**ნეშტის შესუდრვა**

მუმიებია მოღწეული, რომელთაგან თითო-ოროლა სხვადასხვა დიდ მუზეუმებშია დაცული.

ეგვიპტეში ნეშტის გაჟღენთვის რამოდენიმე წესი არსებობდა. იმის მიხედვით, თუ რა ღირსების მასალა იხარჯებოდა გასაჟღენთად—საუკეთესო წამლები, ძვირფასი ნელსაცხებლები და სხვა—მუმიაც მდიდრული, კარგი და უფრო გამძლე გამოდიოდა. ასეთი მუმია ხარჯსაც მეტს მოითხოვდა. რამდენად მდარე მასალა მოხმარდებოდა მუმიას, იმდენად, ცხადია, მისი გამძლეობა ნაკლებ საიმედო იყო. ჩვენ აქ მოვიტანთ ნეშტის შემზადების ერთ-ერთ წესს.

როგორც კი მსუდრავებს (ნეშტის გამჟღენთავი და შემსუდრავი) ადამიანის ნეშტს მიუტანდნენ—იმ წამსვე იწყებოდა გაჟღენთვის და შესუდრვის რთული პროცედურა. იგი სადოსტაქრო ოპერაციების გარდა, გამოიხატებოდა შელოცვებში და წართქმების შესრულებაში. თავდაპირველად მსუდრავი განსაკუთრებული იარაღის შემწეობით ცხვირის ღრუს გზით მიცვალებულს ტვინს ამოაცლიდა. მეორე მსუდრავი ობსიდიანის (ვულკანური შუშის) დანით ნეშტს მუცელთან გაჭრიდა. მესამე მსუდრავი ამ ჭრილობიდან მიცვალებულს თვალის დახამხამებაში შიგნეულს ამოაცლიდა, მუცლის ღრუს პალმის ნაყოფის ღვინით გამორეცხდა და სურნელოვანი ნივთიერებით ამოავსებდა. ამის შემდეგ ნეშტს მარილის წყლით სავსე კასრში ჩასდებდნენ, სადაც იგი 70 დღეს უნდა დებულიყო.

ნეშტს, მარილის წყლიდან ამოღების შემდეგ, შემოადებდნენ ავგაროზებს და თილისმებს, ფეხებსა და იღლიაში ჩაუდებდნენ შიგნეულებს, სახეზე მარმაშის ნიღაბს ჩამოაფარებდენ, შემოახვევდენ დოლბანდებს, ჩამოაცმევდნენ კვართს და ბოლოს 3-4 ჯერ შესუდრავდნენ. ასე შემზადებულ ნეშტს ეგვიპტურად ს ა ხ უ ეწოდებოდა,



**სარკოფაგი**

ხოლო არაბულად მუმია (ჩვენში მუმია ჰქვია ადამიანის გაჟღენთილ ნეშტის ნაწილებს, რომლებიც ხალხურ მკურნალობაში ჭრილობების და წყლულების მოსარჩენად იხმარება). ეგვიპტელების აზრით ამგვარი მუმია უზრუნველყოფდა ადამიანის ნეშტის უხრწნელობას და მაშასადამე მისი სულის (კა) უკვდავებასაც.

საქართველოს მუზეუმის კუთვნილი მუმია ერთ ასეთ უხრწნელ ნეშტს წარმოგვიდგენს. მის სარკოფაგზე (კუბოზე) დაწერილი იეროგლიფები (ხატოვანი წერა) არკვევენ, რომ ნეშტი ეკუთვნის ქ ა ლ ს თ ა ხ ა რ უ ს, ღვთაება მუთის მსახურს. თახარუ გარდაცვლილა ჩვენი წელთაღრიცხვის წინ მეშვიდე (VII) საუკუნეში. ნეშტს ხელები ჯვარედინად აქვს დაკრებილი გულზე. იგი შესუდრულია თავამდე. მიუხედავად თითქმის განვლილი 2600 წლისა, მისი სახე დღესაც კარგადაა შენახული. დაცულია ტუჩები, ცხვირი, ქუთუთოები, გუგა, ყურები და ქერა თმა. მართალია თვალის გუგებში უკვე შუქი ჩამქრალია, ლაწვები ჩაცვენილია, კანი გაშავებულა და მის ქვეშ უკვე სისხლი არ მოძრაობს, მაგრამ ის, რაც შენახულა და დროს მსახრვალ ხელს გადარჩენია—სამართლიანად ჩვენში გაკვირვებას იწვევს.

სარკოფაგი, ხის კუბო, თავის ქანდაკების და იეროგლიფური წარწერების გარდა, საინტერესოა იმ მხრივაც, რომ მისი მხატვრობის ქვემოთ უფრო ძველი მხატვრობა ჩანს. ამ უკანასკნელის ფონი ყვითელი უნდა იყოს, რაც ეგვიპტის სარკოფაგებზე X—IX საუკუნეებში (ჩვენი წელთაალრიცხვის წინ) იყო მიღებული. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, თუ ძველი მხატვრობის ფონი მთლიანად ყვითელი გამოდგა, რომ X—IX ს. სარკოფაგი გამოუყენებიათ VII საუკუნეში ახალი მიცვალებულის განსასვენებლად; სჩანს, სარკოფაგის ადრინდელი მიცვალებულის მყუდროება დაურღვევიათ, რაც ეგვიპტელების შეხედულებით უდიდეს ცოდვად და მკრეხელობად ითვლებოდა. ეგვიპტეში ფელახებს დღესაც სწამთ, რომ ვინც აკლდამებს დახსნის, მუმიებს შეეხება და მიცვალებულებს შეაშფოთებს—უზენაესი ღვთაება მას სიკვდილით დასჯის.

ვინ იყო ამ სარკოფაგის ადრინდელი მობინადრე, ჯერ-ჯერობით გაურკვეველია. მაგრამ



**შელოცვა ნეშტის შესუდრვის დროს**

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ, როდესაც საქართველოს მუზეუმი შესძლებს დაუზიანებლად სარკოფაგის ზემო ფენის მხატვრობის აღებას, უთუოდ ქვემოთ აღმოჩნდება ხატოვანი წარწერა, რომელიც გაარკვევს სარკოფაგის პირველი პატრონის ვინაობას.

**გ. ჩიტაია.**



**ხიდი, რომელიც შენდება მდინარე გუბის-წყალზე**

(ქუთაის-ხონის გზატკეცილი)

# ზეცა—ოთახში

**ნ. მ—ძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მეცნიერება და ტეხნიკა—მასებში“—ასეთია პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ლოზუნგი. მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირის მშრომელმა მასებმა დაამარცხეს შინაური კონტრ-რევოლიუცია და გარეშე ინტერვენტები, ორი მთავარი რამ შეადგენს ჩვენს საზრუნავ საგანს—1) სახალხო მეურნეობის მაქსიმალურად განვითარება (უნდა დავეწიოთ და გაუსწროთ კაპიტალისტურ უცხოეთს): ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის გარდაქმნა სოციალისტურ საფუძვლებზე და 2) კულტურული ფრონტი—იმ მძიმე მემკვიდრეობის ლიკვიდაცია, რომელიც თვითმპყრობელობამ დაგვიტოვა ამ დარგში: წერაკითხვის უცოდინარობის სავსებით აღმოფხვრა, ყოფა-ცხოვრების გაჯანსაღება, მისი მოწყობა ახალ საფუძვლებზე, მეცნიერებისა და ტეხნიკისდაახლოება მასებთან.

ამიტომ არის, რომ თუ უცხოეთის სახელმწიფოთა ბიუჯეტში უმთავრესი ადგილი უჭირავს სამხედრო ხარჯებს, ჩვენში ბიუჯეტის უდიდესი ნაწილი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ხარჯებზე მოდის.

ყოველდღე მანქანებით მოგუგუნე ახალი ფაბრიკა ქარხნების გვერდით შენდება კულტურის ფაბრიკები და ახალი სკოლები, სამეცნიერო ლაბორატორიები და ინსტიტუტები, და სამრეწველო პროლეტარიატის არმიის ზრდასთან ერთად გვემატება ახალი ინტელექტუალური მუშაკების მილიონები, გამსჭვალულნი ახალი იდეალებით, მისწრაფებებით.

საბჭოთა ხელისუფლება არაფერს ზოგავს კულტურული მშენებლობისათვის, იმისათვის, რომ ამ ფრონტზე მებრძოლებს შეუქმნას მუშაობის ხელსაყრელი პირობები. ათეული და ასეული ათასი და მილიონი მანეთები იხარჯება კულტურული მშენებლობის საქმეზე.

ჩქარა საბჭოთა კავშირი გამდიდრდება ერთი უდიდესი მნიშვნელობის მ-ონ ს მეცნიერო კულტურული დაწესებულებით, რომელიც თითზე ჩამოსათვლელია უცხოეთში. ეს არის—პლანეტარი. პლანეტარი მოწყობილია გერმანიის თერთმეტ ქალაქში, შემდეგ—ავსტრიაში, ქ. ვენაში, იტალიაში—ქ. რომში, შეერთებულ შტატებში—ქ. ნიუ-იორკში და საბჭოთა კავშირი იქნება მეხუთე სახელმწიფო, რომელსაც ექნება ასეთი კულტურულ-სამეცნიერო დაწესებულება.

რა არის პლანეტარი?

ბევრს მის შესახებ არავითარი წარმოდგენა არა აქვს. ამიტომ ჩვენ შევეცდებით ამ მოკლე აღწერით გავაცნოთ „დროშა“-ს მკითხველებს ეს ფრიად საინტერესო კულტურული დაწესებულება.

მეცნიერებმა, ე. წ. ასტრონომებმა, გამოარკვიეს პლანეტთა და ვარსკვლავთა მოძრაობის კანონები, დრო, რომელსაც თითეული პლანეტა ანდომებს შემოვლას თავისი ღერძის ან მეორე პლანეტის გარშემო, გამოარკვიეს აგრეთვე მანძილი, რომელსაც ისინი გადიან ამ დროს და სხვ. მრავალი ცნობები, რომლებიც ვარსკვლავთა და პლანეტთა მოძრაობას შეეხება. ყველ ფერი ეს მათ შესძლეს რთული მათემატიკური გამოანგარიშების საშუალებით, ხანგრძლივი დაკვირვებებით. და აი, რომ ფართე მასისათვის მისაწვდომი და გასაგები გახდეს ეს კანონები, გამოიგონეს სპეციალური მოწყობილობა, რომელიც მაყურებელს თვალსაჩინოდ უჩვენებს, თუ როგორ მოძრაობენ მნათობები, როგორ ხდება სინამდვილეში მზის ამოსვლა და ჩასვლა, მზის ან მთვარის დაბნელება და სხვ.

რგვალ დარბაზში, რომელიც უზარმაზარ ეკრანს წარმოადგენს, მაყურებელთა თავმოყრის შემდეგ, ქრება სინათლე.

ხელოვნურ ცაზე თანდათანობით „ენთება“ ვარსკვლავები, ისევე, როგორც სინამდვილეში ხდება, როცა დაბინდების შემდეგ ცა თანდათანობით მოიჭედება ვარსკვლავებით. ლექტორი დგას ხელოვნური ცის მაჩვენებელ აპარატთან და, ლექციის განმავლობაში, გზადაგზა უხსნის მაყურებლებს მნათობთა მოძრაობის კანონებს, მათ ურთიერთ-დამოკიდებულებას, უჩვენებს, თუ როგორ მოძრაობენ ისინი. ლექტორს შეუძლია რომელიმე პლანეტის მოძრაობა განცალკევებით უჩვენოს მაყურებლებს, რომ თვალსაჩინოდ დაანახვოს მათ მისი მოძრაობის თავისებურობანი.

აპარატი, რომლის საშუალებითაც ხდება პლანეტთა და ვარსკვლავთა მოძრაობის დემონსტრაცია, ფრიად მარტივია. წარმოიდგინეთ სფერო, $1/2$ მეტრიანი დიამეტრით, რომელზეც მოთავსებულია მრავალპროექციული ფონარების ობიექტივები. კონსტრუქტორს 31 აპარატი დასჭირდა, რომ აღედგინა 4500 ვარსკვლავი, რომლებიც შეუიარაღებელი თვალით სჩანს ჩრდილოეთის ცაზე, 11 აპარატი—რძის გზისათვის, 30 აპარატი—ვარსკვლავთ კრებულების წარწერებისათვის, 7 აპარატი (რომელთაგან თითეულს საკუთარი მოძრაობა აქვს)—მზის, მთვარის და მზის სისტემის ხუთი პლანეტის (თვალით უხილავი ურანისა და ნეპტუნის გამოკლებით) საჩვენებლად („კ. ნ.“).



სალექციო დარბაზი: ხელოვნური ცის დემონსტრაცია. კუთხეში ზევით—პლანეტარის დამმზადებელი პროფ. **ბაუერსფელდი.**

პლანეტარი დამზადებულია ცნობილი გერმანული—ცეისის ფირმის მიერ, რომელიც საუკეთესო ასტრონომიულ ხელსაწყოებს და ბინოკლებს ამზადებს. მზადდებოდა პლანეტარი იენის უნივერსიტეტის პროფესორის პროფ. ბაუერსფელდის ხელმძღვანელობით. პროფ. ბიუერსფელდმა ხუთი წელიწადი მოანდომა ცის სისწორით აღდგენას. მოსკოვის პლანეტარის პროექტი ცეისის ფირმის მიერ არის შედგენილი. მასში დადგმული იქნება უკანასკნელი კონსტრუქციის აპარატურა.

აშკარაა, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს პლანეტარს ასტრონომიული ცოდნის პოპულიარიზაციისათვის. პლანეტარს აგების დამთავრების დღე იქნება დღე საბჭოთა კავშირის მშრომელთა უდიდესი გამარჯვებისა კულტურულ ფრონტზე.

**ნ. მ—ძე.**

# ალგეთის ლიტოგრაფიული ქვა

### ალ. კოგანი

ალგეთის ქვის ისტორია საკმაოდ საგულისხმიეროა.

მე-XX საუკუნის დამდეგს თავადმა ბარათაშვილმა, რომლის მიწაზე აღმოჩენილ იქნა ლიტოგრაფიული ქვის მადანი, ქვის ნიმუშები გაგზავნა პარიზის უდიდესი ლიტოგრაფის ბერნარის სახელოსნოში და პასუხად მიიღო, რომ ქვა



ფოტო—კოგანის

...მცირეოდენი უსწორმასწორობა და ქვის გათლა იხევ უნდა დაიწყოს.

თავისი ღირსებით არ ჩამოუვარდება საზღვარგარეთის პროდუქციას.

„ბრწყინვალე“ მფლობელს თაოსნობა არ ემარჯვებოდა და ამ საქმიდან დარჩა მხოლოდ ის ოთხად დაკეცილი ქაღალდი საზვარგარეთიდან მიღებული პასუხით, რომელიც მემკვიდრეობად გადავიდა სამთო ტრესტის ხელში.

ქვის გამოცდამ მოსკოვში, 1926 წლის დამლევს, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

ქვა სწორია, მკვრივი, ათი ათასზე მეტ ამონაბეჭდს გაუძლო და სრულებით არ შესცვალა სურათის სიცხადე.



ფოტო—კოგანის

...სათლელი მანქანა ფენას ფენაზე აცილებს და ასწორებს ქვის ზედაპირს...

საბჭოთა კავშირის სახალ. მეურნ. უმაღლეს საბჭოს აზრის თანახმად, საკავშირო ვაჭრობის სახ. კომისარიატმა შესწყვიტა ლიცენზიების გაცემა შემოსატან ლიტოგრაფიულ ქვებზე და, ამრიგად, საბჭოთა ბაზარი დაპყრობილ იქნა.

მოსკოვიდან და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებიდან მიღებულმა დიდმა შემოკვეთამ პირველ რიგში დააყენა ქვის სათლელი სახელოსნოს მოწყობისა და კარიერებზე ქვის გეგმიანად ამოღების საკითხი.

ლიტოგრაფიული ქვა წარმოადგენს ნახშირმჟავ კალციუმს.

კარიერებზე სწარმოებს მხოლოდ ქვის პირვანდელი დამუშავება. მაგრამ, ერთი შეხედვით, ეს მარტივი პროცესიც კი მაღალი კვალიფიკაციის ხელოსნებს ართმევს 30—40 საათის მუშაობას ერთი ნახევარფაბრიკატის დასამზადებლად.

მთავარი და ყველაზე გულმოდგინე მუშაობა სჭირდება გათლას (გასიპვას), როდესაც ქვის 1—2 სანტიმეტრის ქერქის მოცლაზე იხარჯება სამი და ზოგჯერ ოთხი სამუშაო დღეც.

აქ ჩვენ ვხედავთ უახლესი კონსტრუქციის მანქანებსაც, ხელით გასიპვასაც და სხვადასხვა მანიპულიაციებს, ვიდრე ქვის ზედაპირს სარკის მსგავსი სახე არ მიეცემა.

რევოლიუციამდე, და თითქმის დღევანდლამდეც, ლიტოგრაფიული ქვის მსოფლიო ბაზარი ბავარიის დიდი ფირმის — ზოლინგოფენის ხელში იყო. მას თავის კლანჭებში ეჭირა მთელი მსოფლიოს ლიტოგრაფები.



ფოტო—კოგანის

...ხელით თლა ქვას აძლევს რძის ფერს.

მაგრამ უკანასკნელ წლებში თვალსაჩინოდ შეირყა გერმანული ფირმის პრესტიჟი იმდენად თვისობრივად არაა, რამდენადაც რაოდენობის მხრით.

ზოლინგოფენის ქვის მადანი კატასტროფიულად იფიტება, ფაბრიკა თავის მსხვილ ქვებს უშვებს იძულებითი ასორტიმენტით, შეწებებულებს.

მსოფლიო ბაზრის სიტუაცია ხელს უწყობს ალგეთის ქვის გატანას დასავლეთში. „ზაკგოსტორგის“ საშუალებით ჩვენი ქვების ორი პარტია გერმანიაში იგზავნება.



ფოტო—კოგანის

...ქვის გათლა-დამზადება დასრულდა. ქვა ჩადვეს მანქანაში და ათასობით ბეჭდავენ სხვადასხვა ფერად პლაკატებს, ეტიკეტებს და სხვ.

ჩვენი მოპოებითი მრეწველობის ახალი ფაბრიკატის პირველმავე გატანამ ააფორიაქა გერმანიის ფირმები.

ზოლინგოფენმა დაუყოვნებლივ დაუწია ფასი თავის ქვას 50 პროცენტით.

სამი წლის განმავლობაში, მას აქეთ, რაც ალგეთის ქვის ამოღება სწარმოებს, ბაზარზე გატანილ იქნა 800-მდე მზა-მზარეული ქვა, რამაც, სულ ცოტა რომ ვიანგარიშოთ, 150 ათასი ოქროს მანეთი მისცა საბჭოთა ქვეყანას.

სამთო განყოფილების განუწყვეტელი გეოლოგიური გამოკვლევა იმედს გვაძლევს, რომ უახლოეს ხანში აღმოჩენილ იქნება პირველხარისხოვანი მადანი (ყველაზე უფრო მოსალოდნელია გაგრის რაიონში). მაშინ არა თუ მთლიანად დაკმაყოფილდება შინაური ბაზრის მოთხოვნილება, არამედ შეგვეძლება ბრძოლა დავიწყოთ საგარეო ბაზრისათვისაც. **ა. კოგანი.**



ფოტო—კოგანის

საქ. კომუნალური მეურნეობის ინჟენერ-ტეხნიკოსთა ახლად არჩეულ ბიუროს პირველი პლენუმი.

# ახალი ადამიანების კერა

## დ. თურდოსპირელი

— ქა, რა უნდათ ჩვენგან, ნეტა რისთვის დაგვიბარეს?—ეკითხება სკამზედ წამოსკუპებული დედაკაცი თავის მეზობელს და თან კედლებზე ნაირ-ნაირ პლაკატებს ათვალიერებს.

— რა ვიცი, გენაცვალე, ჩემი სანდალასათვის მასწავლებელს დაევალებინა: თქვენს უბანში ყველას შეატყობინეთ, რომ საღამოს სახალხო სახლში გამოცხადნენო; არც კი შემოუთვლიათ რისთვის გვიბარებენ.

— ფეფე რატომ არ მოდის?

— როგორ მოახერხებს მოსვლას, შინ ძუძუთა ბავშვი ულნავის. წელან მითხრა ჩემს ბიჭს გამოვგზავნიო.

— თავის ბიჭსა? რას ამბობ, დედაკაცო? ქალების კრებაა. მისმა ბიჭმა რა უნდა გააკეთოს?

— იჰ, რა ჩვენი საქმეა კრებები! ქალი შინ უნდა იჯდეს და ლობიოს ჩურჩავდეს... წინეთ როდის გვეკითხებოდნენ, რომ ახლა გვეძახიან...

— „რაც არ ექნას მამაშენსა, ნურც შენ დაჰხევ მარმაშებსაო“—ხომ გაგიგონია?

— მიუქარავს მაგის მთქმელსა. განა ყველა ანდაზაში სიბრძნეა, რომ წარა-მარა მოიშველიებ ხოლმე?—ჩაება ლაპარაკში ახალგაზრდა ქალი, მაგრამ მას ყურადღება არ მიაქციეს და განაგრძეს მასლაათი.

— ვიღაც ქალი ჩამოსულა კრების ჩასატარებლად. ნეტა ვინ იქნება?

— მგონია ის უნდა იყოს, რომელიც 8 მარტის დღესასწაულზე დაგვესწრო.

— ხალხო, რას აულია თავი იმ ახტაჯინას და რას დაალაჯუნებს?—ამბობს ერთი მოხუცი, რომელსაც აწმყოსი ვეღარა გაუგია რა და ხავსივით ებღაუჭება წარსულს—განცდილს. იგი გაიყურება წარსულისაკენ... ეგება მოგონებით მაინც ინუგეშოს, მაგრამ ყველას მოგონება ხომ ბაჯაღლო ოქროს ღირებულებისა არ არის. ამ მოხუცის წარსული მტანჯავია და კანკალის მომგვრელი... მაგრამ იგი მაინც ბრწყინვალეთ ესახება აწმყოსთან შედარებით. განსაკუთრებით მას აბოროტებენ კომკავშირელები, რომლებსაც იგი ხატილეწიებს უწოდებს...

და ნაღვლობს იგი, ნაღვლობს...

მისტირის თვალებგამოლამებულ წარსულს, თუმცა აღარავის ესმის მისი ნაღველი, აღარავის ენანება იგი...

ქალები თანდათან ემატებიან.

ზოგ მათგანს თან მოუტანია მატყლი და ართავს, ზოგი ჰქსოვს.

კვირისტარი ჯამში ცეკვავს და ცეკვავს.

ცეკვავს და მღერის დედიკოს ფიქრებს, რომ იგი ჭრელ წინდებს დაუქსოვს წითელ არმიაში წასულ შვილს და ჩურჩხელებსაც ამოუვლებს, დედა ენაცვალოს იმის სიყრმესა.

ვიღაცამ გუმბათ მოღრეცილ საყდრის ზარი ჩამოჰრეკა. მოხუცებმა პირჯვარი გადაიწერეს.

ახალგაზრდებს ფხუკუნი წასკდათ.

— რა ამბავია, რეერთი ხანია რაც არ დაურეკნიათ, ნუ თუ მღვდელი საღამოს ლოცვას აპირებს?

— მაშა, როგორ არა! იმ თვალხარბას თქვენთვის სცალიან? ის ეხლა სადმე სასპეკულიანტოდ იქნება წასული.

— ეე, ტყუილად აცდენთ ამ საყდარს. ის არა სჯობდა, რომ წარმოდგენები გვემართა? სულ საიქოძიანთ ფუფელას ბრალი კია—აიხირა: წირვა-ლოცვა გვინდაო... იმდენი იჩალიშა, იმდენი ეცადა, რომ გაახსნევინა დახურული საყდარი.

— მემრე რა გამოვიდა ამისგან? წელიწადი ისე გაივლის ხოლმე, რომ ორჯერ არ წაილუღლუღებს ის სულქოროტა მღვდელი.

— თუ ჭკუა აქვს, გაუფრთხილდეს თითოოროოლა მოხუც მორწმუნეს, თორემ ესენიც მალე გადიბღლარძებიან და დარჩება სრულიად უმრევლოდ.

— ნატა გვეწვია, ნატა, ნატა.—გაისმა აქეთიქიდან აღფრთოვანებული ძახილი.

საკვირვლად დამყვავებელია და გულების მომნადირებელია ქალთა განყოფილების გამგე ნატა.

შემოვიდა თუ არა,—ყველას სახე გაუბრწყინდა.

რაკი სოფელში ხმა გავარდა—ნატა უკვე სახალხო სახლშიაო—მოსწონდათ მისი ლაპარაკი და უფრო მეტნი გამოეშურნენ კრებაზედ დასასწრებლად.

გუნდ-გუნდათ შემოდიოდნენ ახალგაზრდა ქალები და თან ახალ სიმღერებს დაჰღიღინებდნენ.

მალე ზარის წკრიალი გაისმა და თავმჯდომარის ადგილი სასუქნაანთ სიდომ დაიჭირა.

დღის წესრიგი დაამტკიცეს და ის იყო ნატას მოხსენება უნდა დაეწყო, რომ დარბაზის შემოსასვლელ კარებში ერთი ჩოჩქოლი ატყდა. ვიღაცა შფოთავდა, რაღაცას ბუზღუნებდა. თავმჯდომარემ უმალვე შენიშნა, რომ ეს არყით დამთვრალი მისი ქმარი იყო და მიჰმართა:

— ამხანაგო, დაწყნარდით, წესიერება დაიცავით!

— რაო?.. ამხანაგოო?.. ვინ არის შენი ამხანაგი? მე ამხანაგი კი არა, შენი ქმარი ვარ.—გაიგე და შეიტყე.

— ხელს ნუ გვიშლით მეთქი...

— ხელის შეშლა რომელია?.. რა უყავი ჩემი არაყი?

— რა უყავი და გადაგიღვარე...

— აი, შენი სალავათი კი გავაქრე შენი... დამაცადე, მობრძანდი შინა!..

მთვრალის როშვამ ძალიან აალელვა კრება, მოითხოვეს დარბაზიდან გაებრძანებინათ თავხედი.

როგორც იყო გაიყვანეს გამობრუჟ ული, ჭირვეული ქმარი და დარბაზში კვლავ სიჩუმე დამკვიდრდა.

ნატამ დაიჭირა ორატორის ადგილი და დაიწყო...

მყის გაბრწყინდნენ აფორიაქებული, ლოთის გამოჩენით შექმნილი მძიმე ფიქრები...

მძიმე სულიერი განწყობილება გაჰფანტა მისმა ჯანსაღ მხიარულებამ.

გავიდა ერთი წელი, რაც ეს კრება ჩატარდა...

მხოლოდ ერთ წელმა განვლო, მაგრამ ბევრი ცვლილება მოხდა... ასეთია ბუნება რევოლიუციისა... რაც წინად საუკუნის განმავლობაში ძლივს იცვლებოდა—ახლა ასეთი ცვლილებებისათვის წელიწადი კმარა.

ამ მოკლე ხნის განმავლობაში სოფელი გარდაიქმნა...

მას ახალი იერი მიეცა...

მიუახლოვდებით სოფელს თუ არა,—შორიდანვე მოგვესმის ჟრიამული, თქარათქარი...

ბავშებს ვეღარ იცნობთ... ვეღარც ერთს ვერ ნახავთ ჭუჭყიანს-ყაყიანს... აღარც ტყირპი აქვთ დასიებული... არც ავადმყოფი გამომეტყველება.

გინებას ხომ მათი პირიდან იშვიათად გაიგონებთ...

ბავშვები ყაყაჩოებსავით შეჰფრქვევიან საბავშვო ბაღის ეზოს და მისცემიან აფრააშლილ ალტაცებას...

რა ჯურის სათამაშოები არ მოეპოვებათ...

ბავშვები კასკასობენ, მღერიან... ნეტარობენ...

მათ ცქრიალა თვალები გამვლელ-გამომვლელს ეუბნებიან:

— „გინდათ თქვენი ბავშვები ჩვენსავით მხიარულები იყვნენ?.. თქვენც გენატრებათ მოსვენება?.. გსურთ სამკითხველოსა და თეატრში სიარული?.. მაშ, თქვენც მიჰბაძეთ ჩვენს მშობლებს... გაჰხსენით საბავშვო ბაღები.

და განა მარტო ბაღის გახსნას შეუცვლია ეს სოფელი?..

აგერ ერთ დედაკაცს ხელში პაწია-პირმშო უჭირავს... იგი სათუთად მოვლილი არის... ბროწი-კაკალივით სუფთაა, დაღვრაჭულია. მას ძველებურად კი აღარ უჯავრდებიან... როდიღა აყრიან წყევლას:.. „ჩორ“, „ცეცხლი“, „ზმუკი“...

როცა მას თავი წამოსტკივა, მკითხავთან კი არ მიარბეინებენ და შავ-ტარა დანითა და ნახშირით როდი ულოცავენ... არა, ექიმს მოიწვევენ... უჩვეულო ზრუნვას გამოიჩენენ.

ასე იზრდებიან ახალი—ჯანსაღი ადამიანები...

მათი გონება ნათელია, გული მგზნებარე, მომავალი ვარდისფერი...

სოფელი განახლებულია...

დ. თურდოსპირელი.



ხაშურის რკინისგზელები საშეფო სოფ. ქალის სკოლის მოწაფეებთან და მშობლებთან ერთად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ებრაელთა ლიტერატურიდან

## მხატვარი

### ა. რაიზენი

მან გაიარა ერთი დიდი ძველი სახლის გვერდით, რომელიც აშენებული იყო გრძელ, ღარიბ და ხმაურიან ქუჩაზე. ქვემო სართულის კარების წინ იდგა ერთი ახალგაზრდა, ღარიბი დედაკაცი ბავშვით ხელში, ორივენი—დედაკაცი და ბავშვი—გაიყურებოდნენ შორს, მაღალ სახლების ზევით, ქარხნების მილების ზევით, მილებიდან ასული ხშირი და შავი კვამლის ზევით...

ორივეს სახეზე მუნჯი წუხილი იხატებოდა—ოხ, წაგვიყვანე იქ, იქ! აქ, ამ ქვეყანაში, ბევრი გვიტანჯია, ვიხრჩობით აქ უჰაეროდ, უსინათლოდ...

და ამ შეხედულებაში იმდენი მწუხარება, იმდენი სევდა და გაჭირვება იყო, რომ მხატვარს გული აევსო სიბრალულის გრძნობით.

— აი, სიღარიბის ერთი სურათი,—სთქვა მან გუნებაში—რა მედიდური, რა გრძნობიერი სურათი...

ის აღფრთოვანდა. მან ერთხელაც გადახედა იმ ცოცხალ სურათს და შეამჩნია იგივე თვალები, იგივე მწუხარება. —იქ! იქ! და თითქოს რაღაც უცნობი ძილისაგან გამორკვეული, ის სახლისკენ გაიქცა.

— მე შევქმნი ისეთ სურათს,—დაიძახა მან, თავის სამუშაო ოთახში რომ შევიდა.

და სამი დღე თითქოს ის დალურსმული იყო ტილოს გვერდით. სამი დღე ის არც სჭამდა, არც სვამდა და არც არავის ნახულობდა. მას უნდოდა შეექმნა სწორედ ის სურათი, რომელიც დაინახა ღარიბ ქუჩაზე.

და მან შესძლო კიდეც ეს.

როდესაც სურათი დაამთავრა, მან უყურა მას დიდი შინაგანი სიხარულით. ის ბედნიერი იყო, მას სახე უბრწყინავდა. მას ეგონა, რომ შექმნა არა მარტო სურათი, არამედ თავისი ბედნიერებაც.

მან სურათს დაარქვა „სიღარიბე“ და გაგზავნა სურათების გამოფენაზე.

კრიტიკოსებმა იმ წუთს შეამჩნიეს ის სურათი და აღტაცებაში მოვიდნენ. საზოგადოება აღფრთოვანებული იყო. ერთმა მდიდარმა კაცმა იყიდა ის და საკმაო ფული გადაიხადა.

— თქვენ უკვდავი ხართ—უთხრა მას მეორე დღეს ერთმა ცნობილმა კრიტიკოსმა,—თქვენი სურათი დარჩება საუკუნოთ.

მხატვარი თითქოს მთვრალი იყო ბედნიერებით.

— სად იმყოფება ის ღარიბი დედაკაცი თავისი ბავშვით? იქ, ღარიბ ქუჩაზე...

და მისი აზრები უფრო და უფრო მახვილდებოდნენ, ისინი მოსვენებას არ აძლევდნენ მხატვარს, ისინი მას ძილის ნებასაც კი არ აძლევდნენ...

და ერთ დღეს, რაღაც სურვილმა ის გააგდო იქ, იმ ქუჩაზე, რომ ერთხელაც დაენახა ის ღარიბი დედაკაცი.

მაგრამ—ვაი, ის, რომელიც ასე მშვენივრად გაიყურებოდა შორს თავის პატარა ბავშვთან ერთად, აღარ იყო იქ.

— სად არის ის დედაკაცი? სად იმყოფება ის?—ეკითხებოდა თავის თავს იმედ დაკარგული.

— ვინ იცის?—უპასუხეს მას ცივად.

— ხა, ხა, ხა!—ველურად დაიწყო მან კისკისი, როდესაც სახლში დაბრუნდა. ცოცხალი ნახატი ტილოზე საუკუნოდ დარჩება. მაგრამ ის, ის დედაკაცი, თავისი გულით და თავისი გრძნობებით უკვე გამქრალიყო. არავინ არ იცის, თუ სად იმყოფება ის. მისი სახელიც კი არავინ იცოდა...

თარგმანი **ლ. კარაპეტიანისა.**

# საბჭოთა ნავთის მრეწველობა იზრდება



460 მილიონ მანეთ სააქციო კაპიტალიდან, რომელიც ოქტომბრის რევოლიუციის დროისათვის იყო დაბანდებული რუსეთის ნავთის მრეწველობაში, 55 პროცენტი უცხოელებს ეკუთვნოდა. ეს უცხოელები იყვნენ: „როიალ დეტჩ-შელლი“, „რაშენ ჯენერალ ოილ კორპორეიშენ“ და „ნობელის ამხ-ბა“. უცხოელი კაპიტალისტები დარწმუნებული იყვნენ, რომ საბჭოთა წყობილება უდღეური იყო და ამერიკის ნავთის ტრესტმა—„სტანდარტ ოილმა“, რომელსაც ბაქოს ნავთის ხელში ჩაგდების ცდა ამაოთ ჩაუარა 1895 წ (ინგლისის ნავთის ტრესტის მახინაციების წყალობით), 1920 წელს, როცა რუსეთის ტერიტორიაზე სამოქალაქო ომი მძვინვარებდა, ნობელის ფირმისგან შეიძინა ბაქოს ნავთის მრეწველობის თითქმის 50 მილიონ მანეთის აქციები. „სტანდარტ ოილს“ იმედი ჰქონდა, რომ თეთრგვარდიელი გენერლები დაამარცხებდნენ საბჭოთა წყობილებას და მას საშუალება მიეცემოდა „თავისი“ წილი მიეღო ბაქოს ნავთიდან. მაგრამ „სტანდარტ ოილს“ იმედები გაუცრუვდა და 50 მილიონი მანეთიც დაეკარგა ისევე, როგორც მრავალ სხვა გულუბრყვილო უცხოელებს, რომლებმაც საბჭოთა ტერიტორიიდან გახვეტილ ფაბრიკანტების და მემამულეების „კუთვნილი“ ქონება შეიძინეს საბჭოთა წყობილების დამხობის იმედით.

გამარჯვებული მუშათა კლასი გაასკეცებული ენერგიით შეუდგა დანგრეული ნავთის მეურნეობის აღდგენას და სულ მოკლე დროში ზღაპრულ შედეგებს მიაღწია. ნავთის ამოღებამ უკვე 1927—28 წლებში 20 პროცენტით გადააჭარბა ომის წინადროინდელ დონეს, ასევე გაიზარდა ნავთის ექსპორტიც.

მრეწველობის არც ერთ დარგში არ არის შეტანილი იმდენი გაუმჯობესებანი, როგორც ნავთის მრეწველობაში. გაუმჯობესდა ნავთის მოპოების, დამუშავების და ექსპორტის წესები. ნავთის ექსპორტის გასაიაფებლად უკვე დაწყებულია ახალ ნავთსადენის გაყვანა ბაქო-ბათომს შორის (ნავთსადენის ხაზი ხაშურიდან ბათომამდე უკვე მზად არის), განზრახულია ძველი ნავთსადენის გაფართოება და უახლოეს ხუთწლედში—ახალი ნავთსადენის გაყვანა ბაქო-ბათომს შორის.

აუარებელი მოგება ბაქოს ნავთიდან, რომელიც წინად კაპიტალისტების ჯიბეში მიდიოდა, ახლა პირველ რიგში იხარჯება ნავთის მრეწველობის გაფართოებაზე და ნავთის მრეწველობის მუშების მატერიალურ და ყოფა-ცხოვრებრივ პირობების გაუმჯობესებაზე. შენდება ნავთის გადასამუშავებელი ახალი ქარხნები, სწარმოებს გეოლოგიური გამოკვლევები ნავთის ახალი წყაროების აღმოსაჩენად, შენდება მუშათა ქალაქები და სხვ.

შეერთებული შრომა და მეცნიერება ეკვეთნენ ზღვასა და მიწას, რომ გამოსტაცონ მას წიაღში დამალული ნავთი. ნაჭერ-ნაჭერზე ართმევენ ბაქოს მუშები და ინჟენერ-ტეხნიკოსები კასპიის ზღვას და ბაქოს მრეწველობისათვის ეს ახლად შემატებული ტერიტორია სწრაფად იფარება ნავთის კოშკების ტყით.

სურათზე—ერთი კუთხე იმ ტერიტორიის, რომელიც ბაქოს მუშებმა გამოსტაცეს ზღვას და ნავთის კოშკებით დაჰფარეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახ. კინო-მრეწველობის ახალი სურათები

## „საბა“ და „კომკავშირე-ლები“

ახლო-ხანში თბილისის კინოებში უჩვენებენ საქართველოს სახ. კინო-მრეწველობის ორ ახალ სურათს: „საბას“ და „კომკავშირელებს“.

სურათი „საბა“ დასდგა რეჟისორმა მ. ჭიაურელმა. სცენარი ეკუთვნის **მ. ალხაზიშვილსა** და **ა. არავსკის.** თემათ აღებულია ბრძოლა ალკოჰოლიზმთან. ოპერატორია — ა. პოლიკევიჩი, დეკორაციები—ლ. გუდიაშვილის და დ. კაკაბაძის. მთავარ როლებს ასრულებენ მსახიობები ვერიკო ანჯაფარიძე და სანდრო ჟალიაშვილი.

სურათი „კომკავშირელები“ დადგმულია რეჟისორ მ. გელოვანის მიერ. თემათ აღებულია ძველი და ახალი ყოფის შეჯახება (მოქმედება ხდება აჭარისტანში). მთავარ როლებს ასრულებენ: თამარ თვალავაძე, სიკო ფალავანდიშვილი, არკადი ხინთიბიძე, კ. მაჭარაძე, ლ. ხოტივარი და სხვ.

სურათზე: 1, 2, 3,—კადრები სურათიდან „საბა“; 4, 5, 6,—სურათიდან—„კომკავშირელები“.



## ქუთაისის წყალსადენი

დღემდი ასეთი დიდი ქალაქი, როგორიც ქუთაისია, უწყალსადენოთ არის. მოსახლეობას უხდება რიონიდან ამოღებული წყლით სარგებლობა და ან წვიმის წყალის მომარაგება სახმარათ.

ამ ექვსი თვის წინათ, ქუთაისის სამაზრო აღმასკომის ინიციატივით დაიწყო უდიდესი საქმე—ქუთაისსს წყალსადენის გასაყვანი სამუშაოები. წყალსადენის ქსელის გაყვანა უნდა დასრულდეს უახლოესი 5 წლის განმავლობაში. უკვე დაწყებულია წყალსადენის სათავის ნაგებობათა აგება. წყალსადენის სათავის ადგილი არჩეულია ქალაქის განაპირა უბნის—ჭომას ზემოთ. ამ ადგილას წელს აგებული იქნება წყლის მარაგის მოსათავსებული სპეციალური რეზერვუარი და დროებითი წყალსაქაჩი, საიდანაც უკვე დაწყებულია წყალსადენის მაგისტრალური მილის გაყვანა.

მიმდინარე საანგარიშო წლის ბოლომდე მაგისტრალური მილი გაყვანილი იქნება მწვანე ყვავილას მთამდე, სადაც შემდეგ ააგებენ ე. წ. განმანაწილებელ რეზერვუარს. მწვანე-ყვავილას მიდამოებში წელს გაკეთებული იქნება დროებითი ონკანები, საიდანაც მოსახლეობას მიაწვდიან წყალს უშუალოთ მაგისტრალური მილიდან.

რიონჰესის საგუბარის აგების შემდეგ წყალსადენის სათავე გადმოტანილი იქნება ქვემოთ და წყალსადენი მიიღებს წყლის მარაგს უშუალოთ რიონჰესის საგუბარიდან. მომავალი წლიდან შეუდგებიან წყალსადენის ქსელის მოწყობას. ქსელისათვის საჭირო მილები უკვე შეკვეთილია საბჭოთა კავშირის ქარხნებში.

წყალსადენის ასაგებათ სულ დაიხარჯება 1.800.000 მანეთი. მიმდინარე წლის განმავლობაში შესასრულებელი სამუშაოებისათვის კი კომუნალურმა ბანკმა წყალსადენის სამუშაოთა გაუხსნა სამმართველოს 100.000 მანეთის კრედიტი. წყალსადენის პროექტი შეადგინა ინჟ. ნ. თუმანიშვილმა, რომელიც ხელმძღვანელობს წყალსადენის გასაყვან სამუშაოებსაც.



სურათზე—მუშაობა წყალსადენის აუზის ასაგებათ.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია. რედაქციის მისამართი— კამოს ქ. № 68.

# ეჭვიანა

— მამილო, მართლა ჩვენი წინაპრები მაიმუნები იყვნენ?

— შენი წინაპრები თუ იყვნენ მაიმუნები, შე ბრიყვო შენა, თორემ ჩემს წინაპრებს მე კარგათ ვიცნობ.

—:—

# სულელური შეკითხვა

— წარმოიდგინეთ, პავლემ არც აცია და არც აცხელა, შემოტრიალდა და ლოჟაში ერთი ლაზათიანი სილა გამარტყა... როგორ მოგწონს შენ ეს ამბავი?

— შე ოხერო, სილა შენ გაგარტყეს და მე მეკითხები?

—:—

# სასწავლებელში

— მაგიდაზე სამი სანთელი ანთია, ორი რომ ჩავაქროთ რამდენი დარჩება?

— ორი, მასწავლებელო!

— როგორ თუ ორი?

— რასაკვირველია, ის ორი დაგვრჩება, რომელსაც ჩავაქრობთ. მესამე ანთებული სულ მთლად დაიწვება.

—:—

# თეატრში

— ის ქალი მეტის-მეტად იპრანჭება და იგრიხება!

— კი, ფიქრობს ვინმე სულელი და დურაქი ჩაიგდოს საქმროთ!

— მართლა? მაშ დიდი სიფრთხილე გმართებს შენ!

—:—

# კერძო ვაჭართან

— თუ შეიძლება თქვენთან ნისიად ვივაჭროთ?..

— სიამოვნებით! ხოლო თქვენ ვინა ბრძანდებით, მოსამსახურე ხართ?

— დიახ! მე ამ უბნის ფინინსპექტორი ვარ.

— რაო?.. ფინინსპექტორიო? გადი! გადი! ჩქარა გამეცალე.



# გულდაწყვეტილი კულაკი

— რა გაღრიალებდა წუხელ, მთელი ღამე არ დამაძინე!.

— შე ოჯახქორო, ერთხელ მეღირსა და ისიც სიზმარში არჩევნებში მონაწილეობა და მაშინაც ხმა არ ამომელო?



**ექიმი:**—მართალია—მაგ ავადმყოფობით ხუთიდან მხოლოთ ერთი რჩება, მაგრამ თქვენ სანაღვლო მაინც არაფერი გაქვთ, რადგან მე ოთხი უკვე შემომაკვდა.

—:—

# დააწყნარა

— თქვენ ვინ მოგახსენათ, თითქოს მე სულელი ვიყო!?

— დაწყნარდით, მოქალაქევ, ჩემთვის არავის არაფერი არ უთქვამს. მე თვითონ მივხვდი.

—:—

# მეზობლებს შორის

— ქიტესო, წუხელ თვენსა რაღაცა ხმაური და ჭურჭლის მტვრევა იყო, ცეკვა-თამაში ხომ არ გქონდა ოჯახში?

— არა... იცი... წუხელ ცოტა მთვრალი მოველი სახლში და ცოლი მეკითხებოდა სად იყავიო!

—:—

# მხატვართან

— აი ჩემი მხატვრობის უკანასკნელი ნიმუში. როგორ მოგწონს.

— მოწონების რა მოგახსენო, ხოლო უკანასკნელი რომაა, მეც კი ვხედავ.

—:—

# „ჭკვიანი“ სახლის პატრონი

ჩემო მდგმურო გათავდა თვე, ჩამოდი ბინის ფული!

— აკი პირველამდი გაგისტუმრეთ იმ თვის! დაგავიწყდათ?

— არა, ძმაო! ჩემი პირველი რიცხვი დღესაა; მე ძველი სტილით ვანგარიშობ!

—:—

# „ადგილი აღარ არის“

— იცი, ჩვენს დაწესებულებაში ადგილი არა აქვს ბიუროკრატიზმს!

— რაღა ადგილი იქნება კიდევ, როცა ერთ ოთახში ათი სული ბიუროკრატი ზის უკვე.

—:—

# „სწორად“ გაიგო

— ამხ. თავმჯდომარე, რვა მარტს ქალთა დღეა, არ ემზადებით დღესასწაულის ჩასატარებლად?

— როგორ არა! იმ დღისათვის რესტორანში შეკვეთილი მაქვს ვახშამი, მინდა ჩვენი თანამშრომელი ქალები დავპატიჟო!..

# ხელის შემშლელი პირობა

— ეგ როგორი საყურეები გიყიდნია?

— ნუ თუ არ მოგწონს, ჩემო სიცოცხლევ!

— მომწონს მაგრამ მაღაზიაში ამაზე უკეთესები ხომ ბევრი იქნებოდა?

— როგორ არ იყო, მაგრამ რას იზამ, ჩემო კარგო, მაღაზიის პატრონი სულ ხელებში მიყურებდა!

—:—

# სახელების არევა

— გამარჯობა, პეტრე!

— გაგიმარჯოს, ჩემო პავლე!

— როგორ, კაცო, მე პავლე კი არა ივანე მქვია!

— მერე რა, მე ალექსა მქვია, მაგრამ შენ პეტრეთ მომნათლე!

—:—

# დამცველი

ვექილი ბრალდებულს — ვერაფერი გავაწყე მოქალაქე თქვენი გამართლებისათვის, მთელი სიმართლე მოწინააღმდეგის მხარეზეა.

ბრალდებული—დალოცვილო, ეგ მეც ვიცოდი, მაშ შენ რისთვის აგიყვანე დამცველად?!

—:—

# ნიღაბი

— დედი, ეს რა არის რომ ამ დაწესებულებაში ლამაზი ქალის ნიღაბი აგიფარებია?

— ეს იმიტომ, შვილო, რომა იქნება ამ ნიღაბით მაინც შეცდეს თქვენი გამგე და დამლაგებლათ მიმიღოს!..

—

# „ანგარიშის კაცი“

— თქვენ ყოველ დღე ერთი საათით იგვიანებთ სამსახურში!.. ეს დაუშვებელია!

— მაპატიეთ ეხლა და სამაგიეროთ აწი ერთი საათით ადრე წავალ სახლში.

—

# ხაფანგი

— რა არის, კაცო, აღმასკომის შესავალ კიბესთან რომ ეს ხაფანგი დაგიდგამთ?

— ესა, შენი ჭირიმე, იმიტომა, რომა იქნებ ჩვენი აღმასკომის თავმჯდომარე გაებას შიგ და მაშინ მაინც ველირსოთ მის ნახვას!..



— რა ამბავია, კაცო, ამდენი სურსათი და ღვინოები, გეტყობა, ქეიფი გაქვს დღეს!

— არა ძმაო! რევიზია აპირებს დღეს მოსვლას ჩემთან და ხომ იცი....

მთავლიტი № 319. ტირაჟი 3000. პ/ტ მე-5-ე სტამბა. გაზ. „კომუნისტის“-ს გამომცემლობა.